№ 116 პარასკევი, 29 მაისი 1909 წ. № 116

დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ [illegible] მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან [illegible] დღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე ღირს 5 მ. 80 კ.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба“ И. С. АГЛАДЗЕ.

ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

„დროების“ კანტორა წლიურ ხელის-მომწერთა საყურადღებოდ აცხადებს: ვისაც მარტო ხუთი მანეთი აქვს შემოტანილი, პირველ ივნისისთვის მან ორი მანეთიც უნდა შემოიტანოს, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი მოესპობა.

ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლობისა და დეპუტატების კრებული აუწყებს ყველას, რომ 28 ამა მაისს, ნაშუადღევის 2½ საათზე, განსვენებულის ბინაზე (ჟუკოვსკის ქ., სახლი № 10) გადახდილი იქნება პანაშვიდი დაუვიწყარ, ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად ნამყოფის, უმაღლესის კარის ეგერმეისტერის

თავ. დავით ზაქარიასძის მელიქიშვილის

სულის მოსახსენებლად. (2—6.—2)

კნეინა **რუსუდან დიმიტრის ასული,** თავადი **ილია ზაქარიას ძე მელიქიშვილი** და კნეინა **მართა ზაქარიას ასული ჭავჭავაძისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას (26 მაისს, დილის 10 საათზე): პირველი—მეუღლის, ხოლო უკანასკნელნი—ძმის, მისის უდიდებულესობის კარის ეგერმეისტერის თანამდებობაში მყოფის

თავ. დავით **ზაქარიას ძის** მელიქიშვილისას.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, განსვენებულის სახლში, ჟუკოვსკის ქუჩა, № 10, ცხედრის გამოსვენება პარასკევს, 29 მაისს, დილის 9 საათზე დიდუბის ეკლესიაში, სადაც გადახდილი იქნება წირვა, პანაშვიდი და მოხდება დაკრძალვა. (3—281—3)

კვირას, 31 მაისს სამთავისის სობოროში გარდახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

ნიკოლოზ იაკინთეს ძის

ალექსი-მესხიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე **ოლღა ნიკოლოზის ასული** შვილებითურთ (2—285—1)

კვირას 31 მაისს, 1909 წელს

მუშტაიდში

ქართველ ქალთა სახელოსნო-სკოლის სასარგებლოდ გაიმართება

დიდი სეირნობა ლატარია-ალეგრით

ალეგრაში ჩაიგდება ხელ-საქმე მოსწავლეთა: ნაკერი მუთაქები, ბალიშები, სუფრები, სალფეთქები, კაბები ბავშვებისა და დიდებისა, ნაკერი საცვლები და მრავალი სხვა ნივთი.

პროჟექტორი

დაუკრავს სამხედრო მუსიკა და ორკესტრი, **ხორო ბ-ნ კავსაძის ლოტბარობით** და ტიროლელთა გუნდი, დუდუკი.

სეირნობა დაიწყება ნაშუადღევს 4 საათზე.

შესასვლელი ბილეთი ბაღში და პროჟექტორზე 25 კ., ბავშვებისათვის—15 კ. ალეგრის ბილეთი—25 კ. (3—1

გახსნა საზაფხულო თეატრისა და ბაღისა.

კვირას, 31 მაისს, 1909 წ. თავად-აზნაურთა საზაფხულო თეატრში და ბაღში ქართ. დრამ. **საზოგად. სასარგებლოდ გაიმართება წარმოდგენა და დიდი სეირნობა.**

წარმოდგენილი იქნება მხიარული კომედია

დედის ერთა

1 მოქმედებად გ. გუნიასი.

ზოგადოება ისხდება ორ მხარეს — საზაფხულო და საზამთრო თეატრებში, ხოლო წარმოდგენა გაიმართება შუა სცენაზე. წარმოდგენის შემდეგ სინემატოგრაფი, ნაციონალური ცეკვა, მოხიმღერეთა გუნდი ა. კავსაძის ხელმძღვანელობით, გურულთა ხორო და ორ სართულიანი ფერხული. სხვა და სხვა თამაშობა საჩუქრებით. ბაღი მორთული იქნება ბაირაღებითა და განათებული ელექტრონით. კიოსკები, კონფეტი, სერპანტინი და სხვ.

დუდუკი, მესტვირე, სალამური და საზანდარი. საღამოს წესრიგი პროგრამაში იქნება.

ადგილების ფასი 2 მ.-დან 75 კ.-მდე.

დასაწყისი სეირნობისა საღამოს 6 საათზედ. წარმოდგენისა—9 საათზე.

ბაღში შესვლა—30 კ. მოწაფეთათვის—20 კ. ვინც წარმოდგენის ბილეთს იყიდის ბაღში უფასოთ შევა. დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

ქართული თეატრი

უკანასკნელი გასტროლი ნ. დავითაშვილისა

შაბათს, 30 მაისს ქართულ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე **ახალი პიესა ალ. სუმბათაშვილისა.**

წინამძღოლი

ხუთი ეპიზოდი ცხოვრებიდან.

მონაწილეობას იღებს მთელი დასი. დასაწყისი სწორედ 8½ ს.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. რეჟისორი **კ. მესხი.**

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (6. 73)

ექიმი მ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—88)

ექიმი ქუთაისში **მ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

ექიმი კბილისა **ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი ა. დიასამიძე სადგომის გამოცვლის გამო 25 მაისამდე სახლში ავადმყოფებს არ მიიღებს; ავადმყოფებს გასინჯავს მხოლოდ „სამკურნალოში“ ვოგზლის ქუჩაზე N 8, შუადღის 12—2-მდე.

ექიმები კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბოტრონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—155)

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სახელმწიფო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

ექიმი კბილისა **ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

ახლად გახსნილი

ტფილისის

კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

- **ე. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.
- **ვ. დ. ლამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.
- **ბ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.
- **გ. მ. მაკაროვი**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.
- **ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
- **ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.
- **ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
- **მ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

საღამოთი.

- **ა. გ. მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.
- **ნ. გ. ჭიჭინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—6.—70)

ექიმი ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი ჯაფარიძე ქ. ქუთაისში აქიმებს ყოველ ნაირ ჭლექით ავადმყოფებს ხორცსა და კან შუა შესახსამ წამლით **ტუბერკულინით.** ტფილისის ქუჩა, სახლი თ. ნიჟარაძისა. (12—6.—8)

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

გადავიდა ახალ სადგომში მოსკოვის ქუჩა, № 4, გაბაშვილის სახლი.

ბაღი—რესტორანი

ამხ—გის „იუჟანე“-სი

სასახლის ქ., ქართველ თავ.-აზნაურთა საზაფხულო თეატრთან. ბაღში ყოველ დღე დღისით 2—4 ს. და საღამ. 9—2 ს. დაუკრავს ტფ. სახაზინო თეატრის ორკესტრი ბ-ნ მ. ფალიაშვილის ლოტბარობით.

სადილები: 2 კერძი—60 კ., 3 კერძი—80 კ., 4 კერძი—1 მან. ყოველ გვარ საჭმელსასმელზე არის ცალკე „კარტოჩკები“ და „პრეისკურანტები“. ფასები ზომიერია. (10—გაყ.—2)

სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

შეკითხვა „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ შესახებ.

27 მაისს სათათბირო შეუდგა კადეტების მიერ შეტანილ შეკითხვის განხილვას. ეს შეკითხვა, როგორც ვიცით, კადეტებმა შეიტანეს. შეკითხვაში, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ ხსენებულმა კავშირმა პოლიციის და რაზმების დახმარებით მრავალი ბოროტ-მოქმედება ჩაიდინაო.

პირველად კადეტმა მაკლაკოვმა ილაპარაკა. მან განაცხადა: შავ-რაზმული ტერორი რევოლიუციონური ტერორის შედეგია, ხოლო მათ შორის ის განსხვავებაა, რომ შავ-რაზმულ ტერორს მთავრობა ხელს აფარებს, რევოლიუციონურს კი სასტიკად სჯის. გერცენშტეინისა და იოლოსის მკვლელობაში, კავშირის წევრთა და რაზმელებს გარდა, დაცვის განყოფილებათა მოხელეები ერივნენ, რომელთაც კავშირის უმთავრეს საბჭოსთან ზნეობრივი ურთი-ერთობა აქვთ. დღეს რუსეთს დაცვის განყოფილება მართავს, და, რადგან მას ყველაფერის ნება აქვს, იმისი მოქმედება სახელმწიფოს წინააღმდეგია. კავშირი ბოროტ-მოქმედთ ეკომაგება და ამ ქომაგობაში უმაღლეს მთავრობასაც მოზიარედ ჰქმნის (ძლიერი ხმაურობა მარჯვნით, თავმჯდომარე ზარსა ჰრეკს). მემარჯვენენი ზნე-დაცემულ ელემენტებს იზიდავდნენ დაპირებით, რომ მათ სასჯელი ასცდებოდათ. კავშირი აივსო არა იდეიური ხალხით, არამედ ანგარებით აღსავსე მაწანწალებით. კავშირს უძღვებიან ისეთი საზიზღარი დემაგოგები, როგორც „რუსკოე ზნამია“ და დუბროვინია. ის მთავრობა, რომელმაც ბატონობა შესძინა ამგვარ ხალხს, დაიღუპება სახელმწიფოსთან ერთად (ხანგრძლივი ტაშის ცემა ოპოზიციისა და ცენტრისა).

პირიქით მემარჯვენე შულგინი „ჭეშ. რუსთა კავშირის“ ქება დიდებას შეუდგა რევოლიუცია ამ კავშირმა დაამარცხა და ამ რიგად რუსეთი გადაარჩინაო. სხვათა შორის ,გერცენშტეინზე სთქვა: იმისთვის სიკვდილი აუცილებელი იყო მას შემდეგ, რაც მან აგრარული სიტყვა წარმოსთქვა სათათბიროში და მემამულეთა აკლებას ჩირაღდანი უწოდაო.

მილიუკოვმა აიღო რუსთა კავშირის გაზეთი „რუსკოე ზნამია“ და იქ დაბეჭდილ ცნობებით დაამტკიცა, რამდენად მავნე იყო და ბოროტად მოქმედებდა კავშირი. აღნიშნა ისიც, რომ კავშირის წევრებად არიან უმაღლესი ადმინისტრატიული მოხელენი, სასულიერო პირნი და სხვანი.

გეგეჭკორი საბუთებით ამტკიცებდა, რამდენად გახრწნილია ზნეობრივად ეს კავშირი, რა გვარის სიცრუით, მოსყიდვით და ოინბაზობით მოქმედებს იგი. ერთის მხრით კავშირი სტოლიპინს ემუქრება, მეორეს მხრით სტოლიპინის ადმინისტრაცია მარჯვენა ხელია კავშირისა. კავშირს ბევრი მფარველი ჰყავს უმაღლესს წრეებში; მასავე ეხმარება შეერთებული თავად-აზნაურობა, უმაღლესი სამღვდელოება. ამით აიხსნება კავშირის რიხი [illegible] თავ-გასულობაო. მთავრობა და „რუსთა ჭეშ. კავშირი“ ღვიძლი ძმები არიან, ერთსა და იმავე საქმეს აკეთებენ და მხოლოდ სხვა და სხვა რიგად მოქმედებენ. ხალხმა სასიკვდილო ბრძოლა უნდა გამოუცხადოს ამ კავშირს, თვით კავშირი გაჰქრება მაშინ, როცა დაინგრევა დღევანდელი წყობილება, როცა დაეცემა თვითმპყრობელობა და მონარქიაო.

ამ უკანასკნელ სიტყვებზე მემარჯვენეებმა ერთი აურ-ზაური ასტეხეს. თავმჯდომარემ რამდენჯერმე მისცა გეგეჭკორს წინადადება, ეს სიტყვები უკან წაეღო. ბოლოს გეგეჭკორმა განმარტა თავის სიტყვების აზრი და სთქვა: მე სახეში არა მყოლია მონარქი, მე მომხრე ვარ რესპუბლიკანურ წყობილებისა და ამ წყობილების დამყარებაზე ვლაპარაკობდიო.

დიდი სიტყვა წარმოსთქვა მარკოვმა მეორემ. მთელი იმისი სიტყვა მემარცხენეთა ურცხვ ლანძღვა-გინებისაგან შესდგებოდა. უდიერად იხსენიებდა განსაკუთრებით ებრაელებს, ეძახდა მათ „ჟიდებს“ და მემარჯვენენიც ცხარე ტაშით აჯილდოვებდნენ. დეპეშათა სააგენტოც ისე გულმოდგინედ იქცევა, რომ მარკოვის სიტყვას ვრცლად გადმოგვცემს, ხოლო სხვა ორატორების სიტყვებს გაკვრით გვაუწყებს.

რიხით დაიწყო ტიმოშკინმაც, მაგრამ რა მარგალიტებსაც დააფრქვევდა ეს „ორატორი“, მკითხველი ისეც ადვილად მიხვდება.

ილაპარაკეს სხვებმაც. კამათი ამ დღეს არ გათავებულა.

„ტფილისის სობრანიე“

მამასახლისთა საბჭო აუწყებს ბ-ნთ წევრებს, კანდიდატებს და მათ ოჯახებს, რომ 31 მარტს 1909 წელს «ტფილისის სობრანიე» გადადის

ახალ საზაფხულო სადგომში

(მიხეილის პროსპექტი, ბაღი მაიერისა).

გადასვლის დროს ნაშუადღევს 3 საათზე გაიმართება საერთო სადილი. სადილზე დაუკრავს; ზიმებიანი ორკესტრი, საზანდარი და დუდუკი.

იწვევენ: წევრებს, კანდიდატებს, მათ ოჯახებს და სტუმრებს საზოგადო წესით.

სადილის ფასი (ღვინოთ) კაცის თავზე 1 მ. 50 კ.

მსურველნი წინდაწინვე უნდა ჩაეწერნენ «სობრანიის» შვეიცართან. (2—281—1)

„ნაკადულის“ რედაქციისაგან.

ტფილისის ხელის-მომწერთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ ჟურნალის ფული აღარ გადასცენ რუს დამტარებელს. (3—1)

მოსკოვის უნივერსიტეტის

სტუდენტ-ფილოლოგს

და

პეტერბურგის უნივ.

სტუდენტ-მათემატიკოსს

სურთ აიღონ გაკვეთილები საზაფხულოდ აბასთუმანში.

მოსკოვის ქუჩა. ყანჩელის სახლი, № 20. ავ. ფილავა. (4—3)

ჭიათურა

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების წევრად ჩაწერა და საწევრო გადასახადის სამი მანეთის წარდგენა შეიძლება განყოფილების გამგეობის წევრ-ხაზინადარ ირაკლი დეკანოზიშვილთან. (10—4)

სომეხთა კათალიკოსის ჩასვლა პეტერბურგს

(პეტერ. დეპ. სააგენტო).

პეტერბურგი. დილის 9 საათზე და 55 წუთზე ვარშავის რკინის გზით პეტერბურგს ჩამოვიდა სომეხთა კათალიკოსი იზმირლიანი. იზმირლიანს თან ახლდნენ მთავარ-ეპისკოპოსები ნერსესი და გარეგინი, ეპისკოპოსი აშოტი, არქიმანდრიტები მესროფი და ბაბკენი და სამი სტამბოლელი არქიმანდრიტი. სადგურზე კათალიკოსს დაუხვდნენ გარეშე საქმეთა მინისტრის წარმომადგენელი, სომეხთა კოლონიის წარმომადგენელნი, რომელთა შორის იყვნენ სახელმწიფო საბჭოს და სათათბიროს წევრნი, და აუარებელი ხალხი. კათოლიკოსი სადგურიდან შევიდა საიმპერატორო ოთახებში, სადაც ცოტა ხან ესაუბრა კოლონიის წარმომადგენლებს. ამის შემდეგ კათოლიკოსი ეპისკოპოსების თანხლებით, რომელთაც საკათალიკოსო ჯვარი მიჰქონდათ და აგრეთვე სხვა საეკლესიო მსახურთა თანხლებით, გამოვიდა სადგურზე, სადაც მომზადებული იყო კათალიკოზისთვის კარეტა და რამდენიმე ლონდო კვერთხების მატარებელთა და სხვათათვის. იზმირლიანი იზმაილოვის პროსპექტით წავიდა სომეხთა ტაძარში, ნევის პროსპექტზე. ეკლესიის წინ ამაღლებული ადგილი იყო წითელ მატერიით გადაკრული. აქვე ეჭირათ ხავერდ გადაკრული ბალდახინი, რომლის თავსაც ჯვარი ამშვენებდა. ბალდახინს იმაგრებდა ვერცხლის ბოძები, რომელიც ხელში ეჭირათ სახელმწიფო საბჭოს წევრს გუკასოვს, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს ტიგრანოვს და პეტერბურგის სომეხ ვაჭართა მამასახლის მათეუზოვს. კათალიკოს ეკლესიის კარებში დაუხვდა ეკლესიის მოძღვარი. ეკლესია მორთული იყო მცენარეებით. კათოლიკოს სიტყვით მიმართა უმცროსმა მღვდელმა. კათალიკოსმა რამდენიმე სიტყვით პასუხი გასცა. ამის შემდეგ კათოლიკოსი შიგნით ოთახებში შევიდა.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 მაისი

ოსმალეთი

ათინა. სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ საბერძნეთის მთავრობა თავის დღეში არა ცდილა გაეგო, გაჰგზავნიდა თუ არა ოსმალეთის მთავრობა ჯარს კუნძულ კრიტოსზე.

სტამბოლი. დღეს სულთანმა დაამტკიცა და სისრულეში მოიყვანეს სიკვდილის განაჩენი 6 სომეხის და 9 მაჰმადიანის შესახებ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ადანის ჟლეტაში.

სპარსეთი

თავრიზი. მარაღის გუბერნატორის შუჯა-უდ-დოულეს მიერ მიღებულ მხნე ზომების წყალობით, უკან დაიხიეს იმ ქურთებმა, რომელთაც ალყა შემოარტყეს სოუჯბულაღსა და მიანდაბს. აქ არაფერი ისმის იმის შესახებ, ვითომ ოსმალეთის ჯარი ურმიასა, ხოისა და სალმასისაკენ მიდიოდეს.

საზღვარ-გარედ.

ლონდონი. ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენელთა კონგრესზე ედუარდ გრეიმ სიტყვა წარმოსთქვა. გრეიმ აღნიშნა, რომ ინგლისის ფლოტის სიძლიერე უპირველესი საკითხია არა მარტო ინგლისელებისთვის არამედ კოლონიებისთვისაცაო. მან სთქვა: მე ვცდილობ. სახელმწიფო გაძლიერდეს და მშვიდობიანობა არ დაირღვეს. ბეჭდვითი სიტყვას შეუძლიან ამაში დახმარება გაუწიოს მთავრობას. მართალია, შეიარაღებისათვის აუარებელი ხარჯს ვეწევით, მაგრამ რაც უნდა დიდი ხარჯი იყოს, ჩვენ მაინც არ შეგვიძლიან ფლოტი არ გავაძლიეროთ. გარეშე პოლიტიკა იქით უნდა იყოს მიმართული, რომ გააძლიეროს და შეინარჩუნოს ის რაც აქვს, რომ სხვა ხალხებთან შეტაკება არ მოუხდეს.

ბუშირი. სეიდ-მარტუზას წინადადებით ტანგისტონელები კიდევ შეეცადნენ ქალაქში შესვლას, მაგრამ ამაოდ. ახალმა გუბერნატორმა სეიდ-მორტუზს და მის მომხრეებს ოთხი საათის დრო მისცა, დამორჩილებულიყვნენ. მაგრამ ეს არ მოხდა. გუბერნატორმა ბრძანება გასცა, ძალით აეღოთ სეიდ-მორტუზას სახლი. ხუთი საათის ბრძოლის შემდეგ სახლი აიღეს. სეიდს უნდოდა გაქცეულიყო, მაგრამ დაიჭირეს და სატუსაღოში ჩასვეს.

დრეზდენი. აქაურმა სასამართლომ დაიწყო 10 რუს სტუდენტის საქმის გარჩევა. ამათ ჰბრალდებათ საიდუმლო საზოგადოებაში მონაწილეობის მიღება. საქმის გარჩევამდე თავმჯდომარესა და ვექილს დიდი კამათი მოუვიდათ: ვექილი თხოულობდა ექსპერტების მოწვევას; თავმჯდომარემ განაცხადა, ნებას არ მივცემ სასამართლოს სხდომები პოლიტიკურ წარმოდგენად გადააქციონ, როგორც ეს ბერლინში ჰქმნესო. სასამართლომ დაადგინა, მოიწვიოს ექსპერტები. არც ერთმა ბრალდებულმა თავი დამნაშავედ არა იცნო. ორი ბრალდებული (ერთი ქალი) გაიქცა.

ჰააგა. კუნძულ სუმატრაზე 23 მაისს მიწის-ძვრა მოხდა. ვულკანი კორინთის

გარშემო 330 კაცი დაიღუპა ამ მიწისძვრისაგან.

რუსეთი

პეტერბურგი. მინისტრთა საბჭომ მოიწონა შინაგან საქმეთა მინისტრის წინადადება, რომ იმ პერიოდულ გამოცემებს, რომელნიც წელიწადში 4—5 მანეთი ღირან, ფოსტის ხარჯი დააკლდეთ.

ნოვოჩერკასკი. სამხედრო სასამართლომ განიხილა საოლქო ხაზინის სამხედრო ყარაულების საქმე. იმათ ხაზინიდან 5,550 მანეთი გაიტაცეს. სასამართლომ გადაუწყვიტა კატორგა: ორგანიზაციის უფროსს—6 წლით, ორ ყაზახს—5 წლით, ორ ყაზახს—$3^{1}/_{2}$ წლით, ერთს—1 წლითა და 4 თვით ტუსაღთა გამასწორებელ განყოფილება, ორს—30 დღით დაპატიმრება და ერთ ქალს 8 თვით სატუსაღო.

ვარშავა. ტოვარნი და გრიბნოი ქუჩების კუთხეში ოთხმა ბოროტგანმზრახველმა სროლა დაუწყო სალდათების პატრულს. სალდათებმა სროლითვე უპასუხეს. მძიმედ დაიჭრა ერთი ბოროტგანმზრახველი. ერთი დაატუსაღეს. სროლის დროს შემთხვევით დაიჭრა მოხუცი დედაკაცი.

პეტერბურგი. სახელმწიფო სათათბიროს კომისიამ (9 ხმით წინააღმდეგ 6) უარჰყო სახელმწიფო საბჭოს 33 წევრის კანონ-პროექტი, რომლითაც უნდა შეცვლილიყო დასავლეთ რუსეთის 9 გუბერნიაში სახელმწიფო საბჭოს წევრთა არჩევნების წესი. ამასთან კომისიამ სურვილი გამოსთქვა, რომ ამ გუბერნიებში რაც შეიძლება ჩქარა ერობა იქმნეს შემოღებული.

დვინსკი. 23 მაისს ცეცხლმა იმსხვერპლა 5 საათის განმავლობაში 27 სახლი, რომლებშიაც სცხოვრობდა ღარიბი ხალხი. 1000 კაცამდის დარჩა უსახლკარო და გამოეთხოვნენ მთელს თავიანთ ქონებას.

ერთს სახლის დანგრევის დროს ქვის კედელმა ქვეშ დაიტანა და იმსხვერპლა ერთი ქალი. სამი ადამიანიც მძიმედ დასახიჩრდა.

პეტერბურგი. დღე-ღამის განმავლობაში ქალაქში ხოლერით ავად გახდა ხუთი, გარდაიცვალა სამი კაცი.

ოდესა. უნივერსიტეტის საბჭომ შესაძლოდ სცნო პრივატ-დოცენტებს მიენდოთ ლექციის კითხვა სავალდებულო კურსებზე.

პეტერბურგი. სასამართლო პალატამ 2 დღის შემდეგ დაამთავრა საქმე პსკოვია სამეურნეო სასწავლებლის მოსწავლეებისა ენგელგარდის, გესნერის და გლეხ გუშჩოსი, რომელთაც ჰბრალდებოდათ სოც.-რევოლიუციონერთა პარტიის წევრობა და პარტიის გადაწყვეტილებით მოკვლა სიმენნიკევის ქარხნის ორი მუშისა. ენგელგარდს აგრეთვე ჰბრალდებოდა პსკოვის ბოქაულის თანაშემწის სოკოლოვის მოკვლა. პალატამ გადუწყვიტა კატორგა ენგენლგარტს 13 წლით და 4 თვით, გესნერს 12 წლით, მხოლოდ გლეხს გუშჩოს გადასახლება.

პეტერბურგის სააგენტოს ცნობით, ამ ზაფხულს ხელმწიფე იმპერატორი და რამდენიმე გვირგვინოსანი ერთმანეთს შეჰხვდებიან. ივნისის პირველ რიცხვებში ფინლიანდიის შხერებში ერთმანეთს შეჰხვდებიან ხელმწიფე და გერმანიის მეფე ვილჰელმი; ივნისის ნახევარში ხელმწიფე სადარბაზოდ მივა შვეციის მეფესთან, ხოლო ივლისის ნახევარში საფრანგეთის პრეზიდენტსა და ინგლისის მეფე'თან. რამდენიმე ხნის შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი ესტუმრება იტალიის მეფეს.

ახალი სიტყვა ქართულ მუსიკაში

კაცობრიობის სულიერ ზნე-ჩვეულებათა სამეფოში შესდგავს თუ არა ფეხს, ვით სტუმარი, ახალი რამ გამოკვლევა, ხელად ძველი გემოვნებისა და მიდრეკილების მოტრფიალენი ასტეხენ ხოლმე ერთ აურ-ზაურს. ამ ახალ აუცილებელ მოვლენას, რომელსაც თვით ცხოვრების აუცილობლობა წარმოშობს, თითქოს სისხლისმღვრელ ომს გამოუცხადებენ ხოლმე. აი, სწორედ ამისთანა ომის დროს ყველა ჩვენგანს უნებლიეთ პირზე ადგება ცნობილი ლექსი ბერანჟესი:

Стучится идея о чемъ то, вишь новомъ:
Задвинемъ—ка двери засовомъ.

შემჩნეულია, რომ ყველაზე უფრო ბეჯითად კარები ეხშობა ახლად გამოკვლეულ კანონებს ხელოვნებაში და კერძოდ მუსიკაში. ყოველსავე დარგში, რასაც კი კაცობრიობის სულიერი ცხოვრება წარმოშობს, ადვილია ახლად მოპოვებულ კანონების სწორ-უფლების დამტკიცება და აღიარება, ადვილია დაარწმუნო კაცი მათს საჭიროებაში. ხოლო ხელოვნებაში ესე არ არის დაყენებული საქმე: აქ ახალის საჭიროების უფლება მხოლოდ შეიძლება იგრძნოს ადამიანმა სულიერად; ამისთვის კი საჭიროა, ყოველს ახალს მოვლენას ხელოვნებაში, წარმოშობილს ბუნების აუცილებელ მოთხოვნილებით, ვუყურებდეთ კეთილ გაზრახვით და არა იჭვის თვალით. აქ დამტკიცება და ნორმები a posteriori ხდება. ნუ დაივიწყებთ, რომ ესთეტიკა თავის მოძღვრებით აწ არსებულის დამტკიცებაა და არა მომავლის წინა-მაჩვენებელი. შეიძლება ყველაფერი ახალი ხელოვნებაში იმდენადვე საყურადღებო და საჭირო, რამდენადაც იგი წარმოადგენს გამონაკლისს უკვე არსებულ ესთეტიურ წესრიგისაგან. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველივე ხელოვნება მხოლოდ ფორმებით ლაპარაკობს, ხოლო ყოველი ახალი ფორმა უწინარეს ყოვლისა მის თანამედროვე ადამიანისთვის ან გაუგებარი, ან ძნელად გასაგები ყოფილა ყოველთვის: ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომელშიაც ყველას შეუძლიან დარწმუნდეს, ოღონდ კი მოისურვოს და გადაავლოს თვალი ხელოვნების აღორძინების სხვა და სხვა ეპოქას. რა გაჩნდება ახალი ფორმა, მან უნდა აღიაროს თავისი თავი დამოუკიდებლად, მან უნდა სძლიოს ადამიანის სულის ინერციის ძალას, რომელიც ნაცნობ ფორმებს შეღავათიანად უთმობს ადგილს და აღიარებს მათს აბსოლიუტურ მნიშვნელობას. ნამდვილად კი შემოქმედების ფსიხოლოგიის კანონებია აბსოლიუტური, რომელთაც ჩვენ ძალიან ნაკლებ ვიცნობთ. ყოველ დროსა და ჟამს, ხელოვნებათა აღორძინების ყველა ხანაში ასე ყოფილა საქმე, რომ ადამიანი ცდილა ხელოვნების ახალ მოვლენაში დაენახა ის, რაც მას მოუსურვებია. ჩვენის აზრით, ეს ყოვლად ყალბი და შემცდარი გზაა მის გასაგებად და მისი მნიშვნელობის დასაფასებლად კაცის ცხოვრებაში. უკეთესი იქნება დაუახლოვდეთ საგანს გულწრფელად და ჩვენი სული, გრძნობათა ვითარება გარდავაქციოთ ისეთ ფურცლად, რომელზედაც მხატვარი დახატავს მას, რაც თითონა სურს; და თუ ეს მხატვრის წარწერანი გულწრფელად და სრულიად გამოხატვენ გამონაცად ცხოვრების აზრს, ისინი დაგვარწმუნებენ მათ აუცილებლობაში და საჭირონიც გახდებიან.

ყველაზე უფრო ძნელია ასეთი გზით სიარული მუსიკაში. სამუსიკო ხელოვნების ფორმებს ბუნებაში არა აქვს სახე გამოხატულებისა; მისი ენა მხოლოდ გამოთქმის საშუალებათა წყებაა, ინსტიქტიურად ჩვენ მიერ უკვე ნანახი და ფაქიზი. აი რატომ არის რომ სხვა ხელოვნების არც ერთ დარგში არ შემუშავებულა იმდენი სხოლასტიური მოძღვრება, რამდენიც მუსიკალურ ესთეტიკაში. ამიტომაც აქ ყველაზე უფრო ხშირად ყოველსავე ახალ ნაბიჯის გადადგმისათანავე გაისმის ჩივილი ამ ხელოვნების დაღუპვის შესახებ. ამბროსი მილანელმა ოთხ ხმათა-წყების ჩარჩოში ჩასტია მთელი მუსიკის გამოხატულება (თითოში რვა-რვა ნოტი) და როდესაც 200 წლის შემდეგ დროთა მოთხოვნით შემუშავდა ახალი გამმები (პლაგალური ლადები), მაშინ მემუსიკეთა წრეებმა ერთი განგაში ასტეხეს ამის წინააღმდეგ და ახლად გამოკვლეულ ფორმების შემოსაღებად და დასაკანონებლად მეფე სოლომონისა და დავითის სიბრძნე და სოფიზმები შეიქმნა საჭირო. მონტევერდიმ როგორც კი ახალ ფორმათა და ახალ მუსიკალურ სტილის აყვავების განთიადზე შემოიღო დისსონანსების ხმარება და დაიწყო ზრუნვა სხვა და სხვა ინსტრუმენტის ცხად გამოხატულებაზე, ამ დროს დაიწერა ტრაქტატი არტუზოსი: Overo delle imperfezzioni della musica moderna. ბეთხოვენისა, ვაგნერისა და რუსთა გლინკას შემდეგ ხანას სკოლის ბრძოლა ბრბოს ესთეტიურ ჩვეულებებთან ჯერ კიდევ კარგად ახსოვთ მემუსიკეთ. სიტყვით საზოგადოება მზადაა არტისტიული თავისუფლება აღიაროს; გაიძახიან მოგვეცით, მხატვრებო, ახალი რამ, ხოლო იგი უთუოდ მშვენიერი უნდა იყოსო, მაგრამ რადგან ბრბოს მშვენიერებად ერთხელ და ერთი და იგივე გათელილი ფორმა მიაჩნია, ამიტომ უმეტესობისათვის ყველაფერი ახალი ულაზათო და ულამაზოა და, ამნაირად, თავისუფლებაც ხელოვნებაში გაბათილებულია.

მაგრამ, ჩვენი ღრმა რწმენით, ის ახალი ფორმები, რომლებსაც მხატვარი თავისუფლადა ჰქმნის, ერთსა და იმავე დროს ფილოსოფიურად აუცილებელიც ხდება. ეს კი იქიდან გამომდინარეობს, რომ ყოველი ორგანიულად გაერთებული ფორმა შეიცავს ფარულ ენერგიას მომავალ განვითარებისათვის, მისი სავალი გზა ლოგიკურია და წინ და წინ გამიზნული. ფორმა რომელისამე ისტორიულ მომენტში ძველდება და ნება-უნებლიეთ ხმარებიდან გამოდის. რაღაც მომავალი სიმშვენიერე ყურთ უკან უდგას მემუსიკეს, ჰგრძნობს იმის აუცილებლობას, მის აზრს და როდესაც სრულიად შეითვისებს მას, მხოლოდ ამის შემდეგ სუბიექტიურად, თავისუფლად ჰქმნის ახალ ფორმას. მუსიკაში მონოდია სათავეა კონტრაპუნქტისა. უბრალო დაკვირვებიდანაც კი ადვილია ყველა ცნობის მოყვარე დარწმუნდეს, რომ ჰარმონია წარმოიშობა საკრავების, ანუ სიმღერის ხმების შებანებისაგან, როდესაც ამ შებანებაში ყველა ხმას, ან საკრავს თავისუფლად გააქვს ლარი და დამოუკიდებელია მეორისაგან. აქედან კი ერთი ნაბიჯია ჰომოფონიამდის, ე. ი. მელოდია ჰარმონიის თანამგზავრობით; კიდევ ერთი ნაბიჯი და ჩნდებიან თანამედროვე რთული სამუსიკო ნაწარმოებნი, სადაც კონტრაპუნქტისა და ჰარმონიის ელემენტებს თანაბარი თავისუფლება აქვთ მინიჭებული. მემუსიკე იღებს უბრალო საცეკვაო მუსიკის ფორმას, ან უბრალო სახალხო სიმღერისას და სამუსიკო ფორმების ათასნაირ ევოლიუციით ჩამოაყალიბებს ჩვენ დროის რთულ ნაირ-ნაირ სამუსიკო თხზულებებს. აქედან იბადება სონატა ანუ სიმფონია. უბრალო საერო სიმღერებზე აღაშენეს თავიანთი დიდებული ნაწარმოებნი ბეთხოვენმა, მენდელსონმა და მრავალმა სხვა მემუსიკემ; რუსეთში—ჩაიკოვსკიმ, კორსაკოვმა, ბოროდინმა და სხვამ; და ამ შემთხვევაში სამართლიანად ამბობენ მცოდნენი ხალხურ მუსიკისა: როცა ბეთხოვენის, ან ჩაიკოვსკის, ან ბოროდინის ნაწარმოებს ისმენ, რაღაც დიდი ხნის ნაცნობი და გაგონილი სიმღერა გესმის გულის სიღრმეში. და აი ამიტომაც ყველა კულტურული ხალხი ამდენ მზრუნველობასა, მუყაითობასა და თავაზიანობას იჩენს საერო სიმღერა-გალობის დაცვის საქმეში.

ქართული საერო მუსიკა სწორედ ამისთანა ისტორიულ წერტილზე სდგას: ბევრმა სამუსიკო ფორმამ ეროვნულ სიმღერაში დაჰკარგა თითქოს ღონე მხატვრულ ზედგავლენისა; თითქოს მათი რელიეფი დიდი ხნის ხმარებისაგან წაიშალაო. ამიტომ ჩვენ ყველას მოსაწყენად გვეჩვენება მათი მოსმენა. სულიერი ჩვენი მდგომარეობა მოუსვენრობასა ჰგრძნობს, ბუნდოვანად რაღაც გვეცისკროვნება, განახლებას თხოულობს იგი. ეს, დღეს თუ ხვალ აუცილებლად უნდა მოხდეს, ვინაიდან მხატვრული შემოქმედება ხალხის სულიერ ცხოვრებისა მხოლოდ მაშინ ეცემა და ჰლაფავს სულს, როდესაც მისი წინმსვლელობა და კულტურა სასიკვდილოდაა გამზადებული.

ვინ იცის, იქნებ შორს არ არის ის დღე, როდესაც გაჩნდება ქართველი ბახი ან ბეთხოვენი და თავის გენიოსურ ბრწყინვალე სხივით გაგვიღებს სანატრელ დროის კარს, მოგვანიჭებს დიდიხნის მოლოდინის საათს. ან იქნება ამისთანა ხანა ერთი იდეიით გამსჭვალულ მემუსიკეთა მუშაობამ წარმოშობოს! არც ეს არის საკვირველი, რადგან ხელოვნებათა ისტორიაში აღნიშნულია ეპოქა კოლლექტიურ შემოქმედებისა,—ეპოქა ბრწყინვალე და მნიშვნელოვანი. რომანტიული ლიტერატურული სკოლა გერმანიაში—ჟან-პოლი, ტიკი, შლეგელი, ნოვალისი, გოფმანი და სხვანი, ახალი რომანტიული სკოლა სამუსიკო ლიტეოატურაში—შუმანი, მენდელსონი, ფრანცი-ლისტი, ლევე და სხვანი. თუ გადავავლეთ თვალი ქართულ ახლად ფეხადგმულ მუსიკას, დავინახავთ, რომ ჯერ ერთი ხანა ამ ხელოვნებისა გამოიხატა შეკრებით იმ მდიდარ მასალისა, რაც ხალხის შემოქმედების უნარს წარმოუშობნია. ესენი არიან: არაყიშვილი, კარბელაშვილები, ქორიძე, ჩხიკვაძე, კარგარეთელი, იპოლიტოვ-ივანოვი, კლენოვსკი და სხვანი. ამ ხანამ თავისი დრო მოჭამა, ცოტად თუ ბევრად კვალი დააჩნია ხალხის ცხოვრებაში; იყო მომენტები, როდესაც ოკრესტრისათვის გაკეთებული სიმღერები უმწვერვალესად აინტერესებდა ქართულ საზოგადოებას. ეს აღფრთოვანებაც ნელდება თანდათან.

დადგა ხანა, როდესაც ქართულ მუსიკას უნდა მოევლინოს ახალი მეტყველი მძლავრის შემოქმედებით. მან თავის მძლავრის ფრთის დაქვევით უნდა სთქვას ამ ხელოვნებაში პირველ გზის მაჩვენებელი სიტყვა, რომელიც შეიქნება ქვაკუთხედად იმ საძირკვლისა, რომელზედაც უნდა აშენდეს საფუძვლიანი კედელი ქართულ სამუსიკო ხელოვნებისა. ამ მეორე ხანის მაჩვენებელ ნიშნებსაც უკვე განიცდის ქართული საზოგადოება; იგი მოახლოვებულია და ფეხიც უკვე შემოსდგა ჩვენ ცხოვრებაში.

პეტერბურგში წარსულ დეკემბერს ქართულ საღამოზე შესრულებულ იქმნა საპროგრამო მუსიკალური სურათები მითოლოგიურ თემაზე „ბრძოლა ბაყბაყ-დევისა ამირანთან“ ბ-ნ კ. გ. ფოცხვერაშვილისა. გაზეთებისა და კორესპონდენტების სიტყვით, მუსიკა საზოგადოებამაც და მცოდნე პირებმაც ყურადღებით მოისმინეს და მოიწონეს.

ი. კარგარეთელი.

ახალი ამბავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისი

◆ **მუშების დათხოვნა.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის სახელოსნოებსა და დეპოს სადგომში სამმართველოს განკარგულებით გამოაკრეს განცხადება. რადგან სამუშაო ძალზე შემცირდა, მუშათა ერთი ნაწილი სამსახურისაგან უნდა იქნეს განთავისუფლებულიო. ვინც თავის ნებით განაცხადებს წასვლის სურვილს, მას კარგი შემწეობა დაენიშნება და შემდეგ, თუ საჭიროება აღმოჩნდა, მეორედ იქნებიან მიღებულნიო.

◆ **ყუმბარები.** 28 მაისს, დილის 4 საათზე, მუშტაიდის ქუჩის შესახვევში გაჩხრიკეს ოსტროვსკის მაზრის სოფ. ვაჩეევის მცხოვრები პეტრე ვასილიევი, ხელობით მეეტლე. ვასილიევის ბინის ჭერი ამოსჭრეს და იქ აღმოაჩინეს 4 ყუმბარა გადასასროლად უკვე მომზადებული, ეგრედ წოდებულ იორდანოვის ტიპისა. იქვე ნახეს მასალა ყუმბარების დასამზადებლად და ასაფეთქებელი ნივთიერებანი. ვასილიევს გარდა იმის ბინაზე დააპატიმრეს მისი ბიძაშვილი ანდრია ვასილიევი, უსაქმო, და პავლე ისტოჩნიკოვი, აგრეთვე მეეტლე. გამოკითხვის დროს ანდრია ვასილიევი გამოტყდა ყუმბარების კეთებაში.

◆ **ნამესტნიკის წასვლა.** „კასპის“ ატყობინებენ: როგორც ხმა დადის, კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი ოჯახობით ივნისის პირველ რიცხვებში პეტერბურგს მიდის.

◆ **წერილი ნამესტნიკთან.** „კასპის“ პეტერბურგიდან ატყობინებენ: „სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა ჩხეიძემ ნამესტნიკს წერილი გაუგზავნა. ჩხეიძე სთხოვს ნამესტნიკს, მიაქციოს ყურადღება თავ. გიორგი ამილახვრის მოქმედებას, რომელიც გორის მაზრის ზოგიერთ სოფლის გლეხებს დიდ ფულს ახდევინებს და ამასთან ფულის ასაღებად სასტიკ ზომებს ხმარობსო“.

◆ **უპასპორტოები.** 27 მაისს პოლიციის მე-8 ნაწილის გაჩხრეკის დროს დააპატიმრეს 12 უპასპორტო კაცი.

◆ **ოსური წარმოდგენა.** კვირას, 31 მაისს, სახაზინო თეატრში ოსურ დრამატიულ წრის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება ბრიატევის სამ მოქმედებიანი ისტორიულ დრამა. სიუჟეტი ამოღებუ-

ტფილისიდან ჯულფამდე

ერთის თვალის გადავლებით.

(მგზავრის წერილები*)

სადგურ სანაინში მშვენიერ ადუღებულ რძეს ჰყიდიან. ტფილისის წყალ-ნარევ და ცივ „ბორშჩით“ გამოკვებულ ძროხის რძის ნაჩვევმა, რაღა გასაკვირველია, რომ სანაინის რძის მირთმევის დროს სულ სხვა გემო იგრძნო. სამ-სამი ჭიქა ზედიზედ გადავხუხეთ მე და ჩემმა თანამგზავრმა და გზას გავუდექით.

ახლად შებმულმა ორთქლ-მავალმაც ახალი ძალით გასწია მატარებელს და სრიალ-სრიალით გაირბინა ბედრუჯის დაკლაკნული ნაპირები.

— კაცო, ეს რა ციხეა? მეკითხება თანამგზარი.

— სად არის ციხე?

— აი, ამ მთის გაყოლებაზე.

— ეს, ჩემო კარგო, ციხე კი არა, ბუნებრივი კლდეა. ამ სიგრძეზე გაჭიმული ციხე აქ კი არა, ნინევიაშიაც არ იქნებოდა.

— რას ამბობ!—მაინც არა სჯეროდა ჩემს თანამგზავრს,—განა ეს ხელით გაკეთებული ციხე არ არის?

მართლაც, ერთი შეხედვით ბედრუჯის მარცხენა ნაპირის ქედზე გაყოლებული ბუნებრივი კლდე ხელით გაკეთებულ გალავანს მოგაგონებს. სიმაღლე, სიმეტრია სულ გალავანს. მიუგავს ალაგ-ალაგ ასე გეგონება, თითქო კოშკებია ამართულიო, იმ სახით ამოჩრილან ციცაბო კლდის ნაწილები.

სად. სანაინის შემდეგ სადგური კალაგერანია. მათ შუა 15 ვერსი მანძილია. ბუნებას თანდათან სხვადა-სხვაობა და მცენარეთა სიუხვე ეტყობა. განსაკუთრებით მდიდარია ბედრუჯის მარჯვენა ნაპირი. მარცხენა ნაპირი უფრო მწირია. აქ ბევრგან შეხვდებით სალ კლდეებს და მინდვრებს. ტყეც თხელია, სამაგიეროდ ამ მხარეზე ორგან-სამგან შევნიშნე მშვენივრად გაშენებული ვენახ-წალკოტი. აქაურ მინდვრებზე ბევრი ჯან-საღი საქონელია გაშლილი საძოვრად. კალაგერანის მახლობლად, იქით მიმავალი, ბედრუჯას მარჯვნივ სტოვებს. ის აქ ათასგრად დასერილ ღორო-ჩორროებში იკარგება და რკინის გზის ლიანდაგი ბამბაკის ნაპირებს მისდევს. აქ ზედი-ზედ რამდენიმე გვირაბია გათხრილი. ბამბაკის კალაპოტი ვეებერთელა ლოდებითაა სავსე, რომელზედაც მდინარე აქაფებული, საშინელის შხუილით გადადის. მისი შხუილი მატარებლის ხმაურობასაც აყრუებს და ვაგონშიაც მკაფიოდ ისმის. ბამბაკი თითქო ნიშნს გვიგებს: „ათასი მანქანა მოიგონოთ, ამ მხარეში მაინც მე ვარ ბატონიო“.

ლიანდაგი თან და თან მაღლდება, უფსკრული უფრო და უფრო ღრმავდება, როგორც ჩხირიმელას ნაპირზე, მხოლოდ აქ ხევი უფრო ვიწროა და ამიტომ უფსკრულიც კაცს უფრო ღრმად და საშიშრად ეჩვენება. აი ჩვენმა მატარებელმაც სიარულს მოუშვა, ნელ-ნელა მიიზლაზნება, თითქო კამეჩებ შებმული ურემიაო. ხიფათის დროს, შენი მტერი რა მოგივა: წარმოდგენაც-კი ძნელია, თუ რა უბედურება დატრიალდება. გზა ზედ ციცაბო კლდის პირასაა გაყვანილი, რომლის ძირში 50—60 საჟენის სიღრმეზე ბამბაკი დუღს და გადადის. მშვიდობით გავიარეთ ეს ადგილი, ციცაბო ნაპირი ფერდობად შეიცვალა, ლიანდაგ ქვეშ ნიადაგი უფრო მკვიდრი გახდა და მატარებელიც აჩქარდა: დუ, დუ, დუ, დუ, დუ, დუ, დუ, დუ... იძახის ორთქლმავალი და უფრო ცქვიტად აბრუნებს ვეებერთელა ბორბლებს.

კალაგერანს მოსდევს შაგალი. აქ თავდება ტფილისის გუბერნია და, მაშასადამე, საქართველოც. ის მთის ქედი, რომელიც ზემოდ მოვიხსენიეთ და რომელიც საზღვარი იყო ძველად ქართლისა და სამცხე-საათაბაგოს შუა, ბედრუჯის სათავესთან აღმოსავლეთით უხვევს. ამ ქედს აქ სხვა და სხვა სახელი ჰქვიან—აგლაგანი, აგარდახი, ლობანი და სხვა. ბამბაკამდე ეს ქედი შეუწყვეტელია, აქ კი იძულებულია ცოტა ადგილი ბამბაკს დაუთმოს, შემდეგ ისევ გრძელდება და რამდენიმე მანძილის შემდეგ ორ ტოტად იყოფა, ჩრდილოეთისას ჰქვიან დაშკაში და სამხრეთისას ახარზამანი. ეს ქედი საზღვარია, ჩრდილოეთით ტფილისის გუბერნია, სამხრეთით ერევნისა.

შაგალს მოსდევს კარაკლისი. ამ ორ სადგურებს შუა ბუნება რაგორც სიმშვენიერით, ისე სიმდიდრით საუცხოვოა. ბამბაკის მარცხენა ნაპირზე ამართული მთები მთლად დაბურულია ტყით. აქა-იქ ხშირ ტყეს ნაძვნარიც ურევია, რომელიც ალაგ-ალაგ ზოლივით არის ჩატანებული დანარჩენ ტყეში, თითქო ხელოვნურად დაურგავთ და შორიდან თვალ-წარმტაცი შესახედავია. ამ ვიწრო ხეობაშიაც მოუხერხებია ბამბაკს საკმაოდ ჩამოერეცხა მთის ფერდობები და აქა-იქ ერთი ბეწო ჭალებიც გაუკეთებია. მადლიერ ადამიანსაც შემთხვევა ხელიდან არ გაუშვია, მოუხნავს, და იმ პატარა მუხუროზე რაღაც მწვანე ჯეჯილიც მოსჩანს. წლის პირადვე ორგან სამგან საუცხოვო საფუტკრეები შევნიშნე. მთელი დღიური ფერდობი ხეხილით იყო დამშვენებული და ხეების ძირას ასობით მოსჩანდა ლამაზად გაკეთებული დადანის სისტემის სკა. მეფუტკრეობისთვის ეს ადგილი მართლაც და ხელსაყრელი უნდა იყოს. ბამბაკის მარცხენა ნაპირი შედარებით აქაც უფრო მწირია და თუმცა ტყეც გაცილებით თხელია, მაგრამ სამაგიეროდ ხეები უფრო დიდრონებია, ვიდრე მარჯვენა ნაპირებზე.

რაც უფრო ზევით ვიწევდით, ბამბაკი მით უფრო ჩქარი ხდებოდა. ერთ ალაგას ჩანჩქერად ვარდება ორ სამ საჟენის სიმაღლიდან.

აი, უახლოვდებით კარაკლისს და სურათიც მთლად იცვლება. ბამბაკის მარცხენა ნაპირი სულ ტიტველი ხდება, მარჯვენა ჯერ კიდევ დაბურულია ტყით, მაგრამ თვალი უკვე ამჩნევს ადგილს, სადაც ტყე თავდება და იმ მხრივაც ტიტველი მინდვრები იწყება.

კარაკლისი მოზრდილი დაბაა. არის საკმაო დუქნები, ლამაზი საგარაკო სახლები. ორი, გუმბათიანი ეკკლესია და მოკირწყლული ქუჩები. ერთ დროს ეს დაბა ქალაქობასაც მოინდომებს. კარაკლისი სწორედ იმ ადგილასაა. სადაც ბამბაკი ჩრდილოეთისკენ უხვევს. ეს დაბა რკინის გზის გაყვანამდისაც მნიშვნელოვანი იყო. ამაზე გადის გზატკეცილი, რომელიც ტფილისიდან ჯერ მტკვრის გაყოლებაზე მიდის მდ. აქსტაფამდე. აქსტაფის გაღმა ეს გზა-ტკეცილი ორად იყოფა, ერთი მიდის განჯაში, მეორე უხვევს სამხრეთით და მდ. აქსტაფის ნაპირს მისდევს დელეჟანამდის. აქაც გზატკეცილი ორად იყოფა: ერთი მიდის ერევნისაკენ, ხოლო მეორე ბრუნდება დასავლეთით და კარაკლის-გუმბრით მიიმართება ყარსისაკენ. კარაკლისის შემდეგ რკინის გზის ლიანდაგიც გვერდით მისდევს ამ გზატკეცილს.

კარაკლისი ერთი საუკეთესო ალაგთაგანია და ზაფხულობით აქ ბევრი ხალხი იკრიბება. ტფილისიდანაც ბევრი მოდის. უფრო მეტიც მოვიდოდა, ცოტა ახლო რომ იყოს. ტფილისიდან კარაკლისამდე 141 ვერსია, დაახლოვებით იმდენი, რამდენიც ტფილისიდან მარელისამდე. კარაკლისის ახლო-მახლო სამკურნალო მჟავე წყლებსაც ამბობენ. ბამბაკში ბევრს კალმახს იჭერენ. კარაკლისი კაცს დაბლობზე მოეჩვენება, ნამდვილად კი ზღვის ზედაპირზე 614 საჟენის სიმაღლეზეა, ე. ი. თითქმის კოჯრის სიმაღლეზე.

კარაკლისთან მდ. ბამბაკი, როგორცა ვთქვით, აღმოსავლეთიდან ჩრდილოეთით უხვევს. გასცდები თუ არა კარაკლისს, ბუნება იცვლება: ტყე ჰქრება, ხეობა ფართოვდება. მდ. ბამბაკი, რომელიც ერთი კისერ ტეხით გადადიოდა ლოდიდან ლოდზე და შხუილით აყრუებდა არეს, ახლა დინჯად მისრიალებს. ხევი ველად იქცა, რომელიც თან და თან ფართოვდება და ალაგ ალაგ მისი სიგანე რამდენიმე ვერსამდე უწევს. ეს ველი სახით ძირ მომრგვალო ნავსა ჰგავს. გაგრძელებულია კარაკლისიდან დასავლეთით მცირე კავკასიის გადასავალამდე 41 ვერსის მანძილზე, ჩრდილოეთით და სამხრეთით შეზღუდულია საკმაოდ დიდრონ მთებით, რომელიც თავისს კალთებით თან და თან უერთდება ამ ველს. ამ ფერდობებზე ნახევარი წლის განმავლობაში თოვლი სძევს, მიუხედავად ამისა ნიადაგი მეტად ნაყოფიერია და ხვნა-თესვას ძლიერ მისდევენ. მითხრეს, მაისის დამლევსაც ალაგ ალაგ ვერ მოასწრობს თოვლი დადნობასაო. ერთგან რომ მწვანე ჯეჯილი ბიბინებს თურმე, მეორედან იქვე გვერდზე გრძელ ნაპრად თოვლი სძევს ხოლმე.

ამ ველზე მცირე კავკასიის გადასავალამდე ორი სადგურია და ორიც ნახევარ სადგური. კარაკლისს მოსდევს ამამლი. კარაკლისიდან ამამლამდე 18 ვერსია. ამამლის სიმაღლე ზღვის ზედაპირიდან 711 საჟე-

---

*(იხ. „დროება“, N 107

ლია წარსულ საუკუნის მე-ოცდაათე წლებიდან, როდესაც რუსეთის მთავრობამ ახლად მოიკიდა ფეხი მთიულეთში და დამსჯელ ექსპედიციების მკაცრი მოქმედებით მოთმინებიდან გამოსულმა ოსობამ ბრძოლა იწყო.

✦ **წარმომადგენელი**. ტფ. ტრამვაის საქმეთა მოსაწესრიგებლად ნამესტნიკის განკარგულებით დაინიშნა განსაკუთრებული კომისია. ამას წინად ქალაქის გამგეობას წინადადება მისცა თავისი წარმომადგენელი დანიშნოს აღნიშნულ კომისიაში. გამგეობამ აირჩია ტრამვაის მეთვალყურე კომისიის თავმჯდომარე ექიმი ვესელოვზოროვი.

✦ **ნიშის კურთხევა**. გუშინ, 28 მაისს, საქართველოს ექსარხოსის ნიკონის მოკვლის წლის თავზე, სიონის საკრებულო ტაძარში ბაქოსა და ალავერდის ეპისკოპოსებმა გადაიხადეს წირვა და პანაშვიდი. სიტყვა წარმოსთქვა ექსარხოსის მოადგილემ გრიგოლმა და სასულიერო სემინარიის მასწავლებელმა ბერ-მონაზონმა ვარლამმა. პანაშვიდის შემდეგ სამღვდელოება და დამსწრენი გაემართნენ სასინოდო კანტორისაკენ და იქ კანტორის კიბეზე, იმ ადგილას, სადაც ექსარხოსი ნიკონი მოჰკლეს, და აკურთხევს ნიში. წირვასა, პანაშვიდსა და ნიშის კურთხევას ესწრნენ ნამესტნიკი მეუღლითურთ, ნამესტნიკის თანაშემწენი, ნამესტნიკის საბჭოს წევრნი, სამოსწავლო ოლქის მზრუნველი, გუბერნიისა და მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, გუბერნატორი, ტფ. ქალაქის მოურავის მოადგილე, ტფ. პატრიოტულ საზოგადოების მეთაურნი და წევრნი.

მკვლელობა და გაძარცვა. „ბაქუს" სიტყვით, 27 მაისს, ვიღაცებს ბაქოში რევოლვერით მოუკლავთ მირზოევის ქარხნის გამგე ინჟინერი ბორისოვი და მეეტლე, რომელსაც ბორისოვი მიჰყავდა. ამავე დღეს კოლიუბაკინის ქუჩაზე უცნობები თავს-დასხმიან ჯაფაროვის მაღაზიას და წაუღიათ ფული და ნივთები—8,400 მან.

✦ **სავალდებულო დადგენილება**. „კავ."-ში დაბეჭდილია ტფ. გენ.-გუბერნატორის სავალდებულო დადგენილება, რომლითაც ზაქათალის ოლქში აიკრძალა ხანჯლებისა და ხმლების ტარება.

✦ **ტფ. ქალაქის გამგეობის დადგენილება**. ტფ. ქალ. გამგეობამ 28 თებერვალს დაადგინა, დაესწროს თავ. დავით მელიქიშვილის გასვენებას, ქალაქის სახელით გვირგვინით შეამკოს ცხედარი და თანაგრძნობა გამოუცხადონ განსვენებულის ჭირისუფლებს.

✦ **ნაკადული**. გამოვიდა ნაკადულის მეათე ნომერი (მცირე-წლოვანთათვის) შემდეგის შინაარსით: გაზაფხული-ახოსპირელისა, ბერდისა—ვაჟა-ფშაველასი, კვერცხეულო—ლეჟავასი, გიგოს გაზეთი—ელიავასი, სპილო—ქავთარაძისა, გასართობი, გამოცანა და რებუსი.

✦ **„პოლკოვნიკი"** 27 მაისს პოლიციის მე-5 ნაწილში სოლომონოვსკის ქუჩაზე გაჩხრიკეს და დააპატიმრეს ფოთის მოქალაქე მარქარ მარქარიანცი, რომელიც თავის თავს „დაშნაკციუტუნის" პარტიის პოლკოვნიკს უწოდებდა. მარქარიანცს ჰბრალდება ხელმძღვანელობა ბევრის ტერორისტულს აქტების შესრულების დროს პოლიციის მე-5 ნაწილში და აგრეთვე სხვა საქმეებიც. მარქარიანცი ტფილისში სცხოვრებდა სპარსეთის ქვეშევრდომის კარაპეტ კარჯიანის პასპორტით და გადაწყვეტილი ჰქონდა ორენბურგის გუბერნიაში გადასახლება.

✦ **თავად-აზნაურთა კრების გადადება**. ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება გუშინ 28 მაისს არ შესდგა. კრება, თავ. დავით მელიქიშვილის გადაცვალებისა გამო, გადაიდო კვირას 31 მაისს, დილის 10 საათისათვის. კრება ქართულ თეატრის დარბაზში მოხდება.

✦ **სეირნობა და ლატარია-ალეგრი**. კვირას, 31 მაისს, მუშტაიდში გაიმართება ქართულ ქალთა პროფესიონალურს სახელოსნო სკოლის სასარგებლოდ სეირნობა და ლატარია-ალეგრი. დამსწრეთა ჟივს პროჟექტორში შესვლა ათ საათამდის უფასო იქნება. ათი საათის შემდეგ პროჟექტორი მოეწყობა გარედ ბაღში.

✦ **ივ. ჯავახიშვილის ლექცია**. გუშინ წინ საღამოთი პრივატ-დოცენტმა ივ. ჯავახიშვილმა წაიკითხა პირველი ნაწილი თავის ლექციისა. მეორე ნაწილი წუხელ წაიკითხა.

✦ 1906 წელს ტფ. ქალაქის გამგეობას დასჭირდა ფული და სპეციალურ თანხის ფასიანი ქაღალდები (96,000 მანეთისა) დააგირავა. ამ დღეებში გუბერნატორი ქალაქის გამგეობას შეეკითხა, შეგვატყობინეთ რა საქმისათვის დაგჭირდათ ამ ფასიან ქაღალდების დაგირავება და როდის დაიხსნითო.

✦ ტფ. მოქალაქეთა რწმუნებულებს 27 მაის სხდომა ჰქონდათ რამდენიმე წვრილმან საქმის განსახილველად. სხვათა შორის მამასახლისმა წარუდგინა კრებას მოხსენება საკანცელარიო გადასახადის გადიდების შესახებ. აქამდე მოწმობებისა და სხვა ამგვარ ქაღალდების გაცემის დროს მოქალაქეთა სამმართველოს ახდევინებდა 20 კაპეიკს. მამასახლისმა არაქელიანცმა რწმუნებულებს სთხოვა დანიშნო 50 კაპ. და ამ ფულს სწავლა-განათლების საქმეს მოვახმარებთო. კრებამ უარჰყო ეს წინადადება, რადგან ღარიბ ხალხზე ესეთი გადასახადის გაწერა სამძიმო იქნებაო.

✦ 27 მაის ვაჭარმა არუთინოვმა პოლიციას განუცხადა, რომ ჩემმა ცოლმა ოლღამ და ცოლის დამ ევგენია ცატუროვისამ ოქროსა და ბრილიანტების ნივთები მომპარეს 1000 მანეთისა. ქალები დააპატიმრეს.

მოწერილი ამბები

ბელაგორი. აქაურ საავადმყოფოს საჩხერეში გადატანის შემდეგ, როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, აქ დასტოვეს ჩხარის საავადმყოფოს განყოფილება ერთის ფერშლით. აუარებელი ხალხი აწყდებოდა აქაურ საავადმყოფოს და ერთი ფერშალი, რა თქმა უნდა ეხლა ვერ გასწვდება ყველას, მაგრამ, საბედნიეროდ, ჩხარის საავადმყოფოს ექიმი მიხეილ ჩხენკელი დიდის მხნეობის კაცი აღმოჩნდა და მიუხედავად იმისა, რომ იგი ვალდებული ყოფილა თვეში ორჯელ მოვიდეს აქ, ყოველ კვირას მოდის და იმასაც ამბობს, რომ უკე თუ საჭიროება მოითხოვს, კვირაში ორ დღეს ბელაგორში დავრჩებიო. თვეში ორჯელ მოსვლაც დიდად გასაჭირია ექიმისათვის ჩხარიდან, იმიტომ რომ ჯერ იქიდან ყვირილამდის ოცი ვერსია ცხენით სასიარულო. ყვირილიდან კი მატარებლების მიმოსვლა ისეა მოწყობილი, რომ შაბათს საღამოთი ჩხარიდან წამოსული ექიმი, ან მთელი ღამე უნდა დარჩეს ყვირილაში და დილის სამ საათზე წამოვიდეს, ან არა და საქონლის მატარებელზე იწვალოს, რომ კვირას დილით ბელაგორში იყოს. მიუხედავათ ასეთ ტანჯვავებისა, ექიმი ყოველ კვირას მოდის აქ, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ შრომა, ბელაგორის განაპირა სოფლელთა ავადმყოფებისათვის, ამაოა. დღიდან საავადმყოფოს გადატანისა, აქაურ საავადმყოფოს განყოფილებაში ძალიან ცოტა ავადმყოფი მოდის. უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ უმეტესობამ არ იცის, აქ არის თუ არა საავადმყოფოს განყოფილება დატოვებული და მოდის თუ არა ექიმი. მღვდლებმა თავიანთ მრევლს უნდა გააგებინონ საქმის გარემოება. აქაურ კანცელარიებშიაც რომ განცხადებები გაიკრას, არას დააშავებს. საზოგადოება ამას როდესაც იქნება თავისითაც გაიგებს, მაგრამ მათივე თქმულებაა: „სანამ პეტრე მოვიდოდეს, პავლეს ტყავი გააძვრესო".

გლეხები ემდურებიან ჩხარის (სოფ. ჩხერი სამი-ოთხი ვერსის მანძილზეა ბელაგორიდან) ზოგიერთ აზნაურებს კიკნაძეებს. ზოგნი ამათგანი გვალვისაგან განადგურებულ მინდვრებში იჭერენ თავიანთ მეზობელ გლეხების საქონელს და საბალახოს ახდევინებენ. უმეტესად იჭერენ სოფ. ბაზალეთელ გლეხების საქონელს. ეს გარემოება, რასაკვირველია, ბაზალეთელ გლეხებს არ მოსწონებიათ და ისინიც შესდგომიან სამაგიეროს გადახდას. ამ აღნიშნულ სოფლებს შუა მდებარეობს სოფ. ღარიხევი. ჩხარელები თურმე, რაღაც მოსაზრებით, ამ სოფლელთა საქონელს არ იჭერენ. ეს ბაზალეთლებს არ მოსწონებიათ და მიუმართავთ მათთვის, რომ ჩხარელების საქონლის ჭერაში მონაწილეობა მიეღოთ. ღარიხევლები არ დათანხმებულან, ბაზალეთლებს საწყენად დარჩენიათ ეს და მიჰყოლიან მათ საქონლის ჭერასაც. რომ იტყვიან: „აქლემები წაიკიდნენ, კოზაკი შუაში გასრისეს"-ო, სწორედ ასე დაემართათ ღარიხევლებს. ამ გარემოებას თუ ჯეროვანი ყურადღება არ მიექცია, შეიძლება მოხდეს რამე. მით უმეტეს, რომ აქაური გლეხები ამ ჟამად ისედაც ნახევრად შიმშილს განიცდიან, რადგან თავიანთ გამოსაკვები სიმინდიც ვერ უყიდნიათ და სად შეუძლიათ საქონლის საბალახოც იხადონ! ფუთი სიმინდი აქ ეხლა ექვს აბაზად ფასობს.

აქეთ კვლავ გვალვებია. ყველა სოფელში გადაიხადეს ელიობა (სამღრთო), მაგრამ ლოცვა-კურთხევამ ჯერ წვიმა ვერ მოიყვანა.

რისხვა.

თ. ძნელაძის კონცერტი

დღეისთვის სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში დანიშნულია კონცერტი ახალგაზრდა ქალის ძნელაძისა.

გვინდა გვქოთ თამარ ძნელაძე, მისი ნიჭი, მაგრამ გვეკრძალვის, ზოგიერთებმა ეს ქება თანამემამულეობით ან კერძო სიმპატიით არ ჩამოგვართვან. ამ შემთხვევაში ჩვენ მარტო თანამემამულეობა და კერძო სიმპატია არ გვალაპარაკებს. თვით „გოლ. კავკ.", რომელიც, ვგონებთ, შორს არის ქართველთა სიმპატიისა და სიყვარულისგან, ქებით იხსენიებს ქ-ნ ძნელაძის სამუსიკო ნიჭს და ახალგაზრდა ქალს მომავალს უქადის.

დღეს, 29 მაისს, ქ-ნი ძნელაძე სამუსიკო სკოლის დარბაზში კონცერტს მართავს. კონცერტის შემოსავლით ძნელაძეს სურს სწავლა განაგრძოს. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ძნელაძე ღარიბი ქალია და არ შეუძლიან სწავლა განაგრძოს და თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ცოდოა ნიჭს ფართო გზა არ მიეცეს, უნდა ვიფიქროთ, რომ საზოგადოება არ დაიშურებს ორიოდ გროშს და ერთის მხრით დასტკბება ქ-ნ ძნელაძის დაკვრით და მეორეს მხრით ახალგაზრდა ქალს შეძლებას მისცემს სწავლა განაგრძოს და შემდეგ ჩვენს მდიდარ, მაგრამ ჯერ კიდევ დაუმუშავებელ მუსიკას თავის ძალ-ღონის მიხედვით სამსახური გაუწიოს.

დიახ, იმედი გვაქვს... —**ლი**.

სპარსეთის ამბები

რუსის ჯარი გამოვა თავრიზიდან.

ინგლისის ელჩმა 26 მაისს შეატყობინა ერთ ინგლისელ კორესპონდენტს, რომ რუსის მთავრობამ თანხმობა განაცხადა ადერბეიჯანიდან ჯარის გაყვანაზეო (ბ.).

ოსმალეთი ახალ ჯარსა ჰგზავნის სპარსეთში.

ოსმალეთის მთავრობამ უბრძანა მეოთხე კორპუსის უფროსს: ურმიის დასაჭერად გაგზავნეთ რაზმი ქვეითა და ცხენოსან ჯარისა არტილერიით და თავრიზის გზაზე პატარა მზვერავი რაზმი დააყენეთო.

ოსმალეთის კონსული ესარჩლება სათარ-ხანს.

როგორც უკვე ვიცით, რუსეთის კონსულმა ოფიციალური წინადადება მისცა თავრიზის გუბერნატორს, სათარ-ხანის უძრავი და მოძრავი ქონება შეკარითო (არესტი დაადეთო) იმ ზარალის ანაზღაურების გარანტიად, რომელიც რევოლიუციის დროს ჯულფა-თავრიზის გზას (ეს გზა რუსეთის გაყვანილია) მოუვიდაო. ამის შემდეგ გუბერნატორს მოუვიდა ოფიციალური წერილი ოსმალეთის კონსულისაგან, რომ სათარ-ხანი ბაღირ-ხანითა და სხვა რევოლიუციონერებით ბესტში ჩაჯდა ოსმალეთის საკონსულოში და როგორც თითონ ისინი, ისე მათი ქონება ოსმალეთის მთავრობის მფარველობის ქვეშ იმყოფებიან და ამიტომ უცხოელებმა, რომლებსაც რაიმე დავა აქვთ ხსენებულ პირებთან, უნდა მიმართონ ოსმალეთის საკონსულოსაო.

რუსის ჯარი თავრიზში.

გაზ. კავკაზ"-ის თავრიზელი კორესპონდენტი ასწერს და ამართლებს რუსის ჯარის მოქმედებას თავრიზში. კორესპონდენტი დაწვრილებით და ალტაცებით აღწერს, როგორ ააფეთქეს დინამიტით რუსებმა ერთი სპარსელ რევოლიუციონერის, „ყაჩაღ" უსუფის სახლი.

გვიან საღამოთი გავიგეთ, რომ ჩვენი როტა თავრიზში უნდა წავიდესო. ეხლა გიამბობთ იმ პატარა „განადგურების" ამბავს, რომელშიაც მეც მივიღე მონაწილეობა და რომელიც ჩვენ მოვახდინეთ დიხეს უბანში, სადაც ნაიბ უსუფი ძალით სცარცვავდა მშვიდობიან ხალხს.

საღამოს სამ საათზე ხიდისკენ გავემართენით. ჯარის-კაცები ჩვეულის ნაბიჯით სწრაფად მიდიოდნენ ქალაქის მიდამოებში; როტების წინ მიდიან გზის მაჩვენებელი სპარსელები, რომლებსაც კანვოი ახლავს. ერთმა როტამ ტყვის მტყორცნელებით მდინარის პირ-პირ გადუხვია და მალე მიიმალა ხეებში. მეორე როტამ ყაზახებით ჩაუხვია რომელიღაც ვიწრო ქუჩაში. გათენებული იყო, როცა ჩვენი როტები მწყობრად მიუახლოვდნენ დიხეს უბნის მოედანს, რომლის ორსავ კუთხეში ჩაიხანები ჩანს; მოწინავე რაზმი ჩვეულებრივ გაიყო, სახლებს გარს შემოერტყა; გასინჯეს შეიარაღებული ხომ არავინაა და მალე ისევ წინ წავიდნენ. უცებ ერთი სპარსელი გამოვარდა, გაქცევა უნდოდა, მაგრამ იგი მაინც დაიჭირეს და წაიყვანეს მიუხედავად პროტესტისა; ალბად უნდოდა ვისმე გაფრთხილება. აი თითონ უსუფის სახლიც. ჩაი-ხანეში ანთია ლამპა; ჩანან შეიარაღებული კაცები. ჯარისკაცები აფიცრით მოულოდნელად შეცვივდნენ ოთახში და ერთი წამის შემდეგ 8 სპარსელი გამოიყვანეს; სახლიდან გამოიტანეს თოფები და პატრონტაშები. სპარსელების დარაჯებს იარაღი აჰყარეს. ჯარისკაცები აძვრნენ ბანებზე, ზოგი სახლში შედის, ვიღაცა ტელეფონის მავთულს სწყვეტს. ჯარის-კაცები განაგრძობენ წინადვე დანიშნულ სახლების ჩხრეკას, კარების ურდულებს ჯახა-ჯუხი გააქვთ. მალე როდი აღებენ კარებს, ზოგი კეტავს, არ უშვებს ჯარის-კაცებს, მაგრამ საბედნიეროდ საქმე მშვიდობიანად თავდება. ერთ-ერთ სახლში აფიცერმა ჯარისკაცებით იარაღი მოსთხოვა ერთ მოხუცებულ სპარსელს, ცნობილს თავის მავნე მოქმედებით. სპარსელი გაჯავრებით უარს ამბობს, იწმუნება, არაფერი არა მაქვსო, მაგრამ როგორც იყო, მუქარით შეშინებულმა, მან ჰარამხანაში შეიყვანა აფიცერი და საბნებისა და ბალიშების ქვეშიდან გამოიღო ერთი თოფი პატრონებით. უსუფიც დაიჭირეს; იგი მაღალი ტანისაა, შედარებით ახალგაზდა, ყაჩაღური სახე აქვს.—იარაღი აღარა მაქვს, სულ სათარ-ხანს გაუგზავნეო, ამბობს იგი. მაშინ კონსულის დარიგებით, მისი სახლი დავანგრიეთ.

ჯარის კაცებმა მის სახლიდან ნივთები და ბარგი გამოიტანეს. აუარებელი სამოვარი, საბანი, ბალიში, ხალიჩა და სხვა ჰქონდა,—ცხადია ეს სულ ნაცარცვი იყო. ეს ნივთები გაიტანეს მოედანზე და ყარაულები მიუჩინეს. საპიორებმა მოამზადეს ყველაფერი და ერთის წამის შემდეგ ყაჩაღის ბუდე დანგრეული იყო. ამნაირადვე ააფეთქეს უსუფის ძმის სახლიც, სადაც გაჩხრეკის შემდეგ იპოვეს მთელი ფაბრიკა პატრონებისა. შემდეგ ააფეთქეს 5 ბარიკადა, რომელიც უსუფის სახლის გზასა ლობავდა... დიდძალი ცნობის მოყვარე ხალხი შეიყარა. „სწორედ აკეთებენ საქმეს რუსები!" იძახიან აქეთ-იქიდან: ეტყობა, კმაყოფილები არიან, რომ ყაჩაღი ასე სამაგალითოდ დაისაჯა... დილის 10 საათზე ჯარის კაცები რუსულ სიმღერით დაბრუნდნენ ბანაკში... დატუსაღებული უსუფი და მისი ამხანაგები დაღვრემილები მისდევდნენ უკან.

კორესპონდენტი დასძენს: „ოჰ, რა უდიერობა, რა მხეცობა და რა გულქვაობაა [illegible] როცა ამ [illegible] აღწერას [illegible]. მოიდგინეთ, რომ მშვიდობიან ხალხს უხარიან, მოსწონს ასეთი უსისხლო განადგურება, რომელიც იმსხვერპლებს ხოლმე ისეთ ყაჩაღებს, როგორც უსუფი და მისი ამხანაგები არიან. დიდად სცდებიან ის ბეცი ცრუ-ლიბერალები, რომლებიც ჰხედვენ და ამტკიცებენ, ვითომ რუსის რაზმის ასეთი მოქმედება სპარსელებს უნერგავს სიძულვილს რუსებისადმი და ჩვენს მდგომარეობას არყევს ადერბეიჯანშიო. ამის თქმა იმას შეუძლიან მხოლოდ, ვისაც ადგილობრივ გარემოებისა არა იცის რა. თავრიზის მცხოვრებლებმა, იქნება რამდენისამე საუკუნის განმავლობაში, ეხლა ძლივს მოისვენეს რუსის რაზმის მფარველობის ქვეშ. თავრიზელები აფასებენ ამას და არა ერთხელ მადლობაც გადაუხადეს რუსის ჯარს.

კორესპონდენტი თავის გრძელს წერილს ასე ასრულებს: 12 საათზე მეხივით დაგვატყდა თავს მოულოდნელი ამბავი. სათარი, ბაღირი და ენჯუმენის ზოგიერთი წევრი ბესტში ჩასხდნენ ოსმალეთის საკონსულოშიო. ესეც შენი რუსეთის მთავრობა, რომელსაც ვითომ ასე მოუთმენლად ელოდა სათარი. ეს ასეც უნდა ყოფილიყო; თავრიზის რევოლიუციის დროს ოსმალეთის კონსული თითქმის რევოლიუციონერების შტაბის უფროსის როლს თამაშობდა. სათარს შეეშინდა დატუსაღებისა და განადგურებისა; იგი გრძნობდა, რომ ამისი ჯერიც მოვიდოდა. საქმე რომ სათარიდან დაეწყო, მაშინ თავრიზში ნამდვილად უზრუნველყოფილ იქნებოდა მშვიდობიანობა. საინტერესოა, რა მოხდება ამას იქით".

ოსმალური პრესა რუსეთის წინააღმდეგ ამხედრდა.

„ნოვოე ვრემია"-ს სტამბოლელი კორესპონდენტი იუწყება: ადგილობრივი პრესა მეტად ამხედრდა რუსეთის წინააღმდეგ სპარსეთის საქმეების გამო. სტამბოლში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ცნობამ, რომ ოსმალეთის კონსულმა თავრიზში სათარ-ხანი და მისი რევოლიუციონერები ოსმალეთის მფარველობის ქვეშ გამოაცხადაო.

რუსეთი თავის ჯარის გალაშქრების ხარჯს სპარსეთს გადაახდევინებს.

ერთ სპარსელ დიპლომატს უთქვამს „რუს. სლოვო"-ს კორესპონდენტისთვის: ამბობენ, რომ რუსეთის მთავრობა სპარსეთს გადაახდევინებს იმ ხარჯს, რომელიც მას გენ. სნარსკის რაზმის გაგზავნაზე მიუვიდაო.

რევოლიუციონერების გალაშქრება თავრიზზე.

სპარსელ რევოლიუციონერების დიდი რაზმი კაზვინიდან თავრიზისკენ გაემართა.

სპარსელ-ფრანგთა კომიტეტი.

პარიზში დაარსეს სპარსელ-ფრანგთა კომიტეტი იმ სპარსელ-გერმანელთა კომიტეტის მსგავსად, რომელიც ამას წინად დაარსდა ბერლინში.

პარიზელ კომიტეტის მეთაურებად არიან ჟორესი, პრესანსე და საფრანგეთის სხვა გამოჩენილი მოღვაწეები. კომიტეტი აგიტაციას ეწევა პარლამენტსა და პრესაში, რომ უცხოეთის ჯარი გავიდეს სპარსეთიდან და რომ სპარსეთში სრული კონსტიტუცია აღდგენილ იქმნასო.

ოსმალეთი

ეკზამენები მოხელეებისთვის.

პარლამენტს წარუდგინეს კანონპროექტი სამოქალაქო სამსახურის რეორგანიზაციის შესახებ. ეს კანონპროექტი მოსწონს ყველას, რადგან იგი აწესებს სავალდებულო ეკზამენებს მოხელეებისთვის. ამ ეკზამენების წყალობით ოსმალეთი განთავისუფლდება ძველის რეჟიმის უვიც მოხელეებისაგან.

უმაღლესი სამხედრო საბჭო.

უმაღლეს სამხედრო საბჭოში, რომელმაც უნდა თვალყური ადევნოს

ნია, ე. ი. 96 საჟენით უფრო მაღალია, ვიდრე კარაკლისი. მიუხედავად ამისა, ბამბაკი საკმაოდ მდორედ მიდის. ამამლის ახლო-მახლო უდაბნო ხრიოკი ადგილებიც არის. ხე-ტყის ხსენება ხომ სულ არ არის, მაგრამ სადგურთან მშვენიერი ბაღი გაუშენებიათ და მცენარეს კარგადაც უხარია. ალუბალი საკმაოდ გაზრდილია და მისი ახლად თეთრად გაშლილი ყვავილი არეს ამშვენებს.

ამამლისთან გამოვეთხოვეთ მდ. ბამბაკს, რომელიც ჩრდილოეთით რჩება. გავიარეთ პატარა ხევი ხრიოკ მთებიანი და ველი ისევ გაფართოვდა. აქა-იქ ჰალებიცაა ატეხილი. ჯერ თოვლი სულ ვერ აულია, მაგრამ ზაფხულში ჩინებული საძოვრები უნდა იყოს აქ. მინდორი, საცა თოვლი დამდნარია, ნაზი მდელოთი გადახავერდებულა და ზედ მრავალი ცხვრის ფარა სძოვს. აგერ პატარა ბატკნებიც ხარბად დასწაფებიან ნორჩ მდელოს. ერთ სასაცილო სცენასაც მოვკარი თვალი. რკინის გზის ლიანდაგის შორი-ახლო ერთ მწყემს ოციოდე გვარიანად წამოჩიტული ბატკანი შეეყოლებინა საბალახოდ. მატარებლის მიახლოვებაზე ბატკნები დაფრთხენ და გარეტიანებულები ქლოდ შეჯგუფდნენ და მატარებლისკენ გამოექანნენ. მწყემსს, ზორბა ბიჭს, ალბად კარგად სცოდნოდა, რა ჰკუის პატრონ პირუტყვებთან ჰქონდა საქმე და მსხვილი მათრახი წინ და წინვე დაემზადებინა. ორჯელ გადაუღობა წინ გროვად ამავალ პირუტყვებს, თან ცალი ხელით იჭერდა და თან მეორეთი რაც ძალი და ღონე ჰქონდა ბატკნებს მათრახს ცხვირ პირში სთავაზობდა. მიუხედავად ამისა ბატკნები მაინც თავისას არ იშლიდნენ, მთელის ძალ-ღონით ერთმანეთს აწვებოდნენ და მატარებლისაკენ მიიწურებოდნენ. მწყემსს მთელი თავისი ძალ-ღონე დასჭირდა, რომ უგუნური პირუტყვი აუცილებელ დაღუპვისაგან გადაერჩინა.

ველი ძლიერ გაფართოვდა. შუაში რაღაც პატარა ღელეც მოსჩანს. მივდივართ თან და თან მაღლა. ამამლიდან 18 ვერსის მანძილზეა სად. კალტახჩი. ამაზე მაღლა არც ერთი სადგური არ არის ტფილის-ჯულფის გზაზე. კალტახჩი ზღვის ზედა პირზე 833 საჟენის სიმაღლეზე მდებარეობს. ბაღი აქაც გაუშენებიათ. ირგვლივ მდიდარი საყანე და საბალახე ადგილებია. ჩვენ წინ უკვე მოსჩანს მცირე კავკასიის ქედი, რომლის ქვეშაც დიდი გვირაბია გაყვანილი.

კალტახჩიდან დავიძარით. უახლოვდებით დიდ გვირაბს. მთის ფერდობებიდან აქა-იქ ანკარა წყაროები მოწანწკარებენ. საათი მოვიმარჯვე, ერთი წამიც და გვირაბში შევყავით თავი. გვირაბი საკმაოდ დიდია, ოთხი ნახევარი წუთი მოუნდა ჩვენი მატარებელი იმის გასვლას. მცირე კავკასიის ეს მთა წყლის საყოფელია მტკვრისა და არეზს შუა. ამ მთის აღმოსავლეთით ყველა წყალი მტკვარში ჩადის, ხოლო დასავლეთით არეზში, მაშასადამე, ტფილის-ჯულფის გზის უმაღლესი წერტილია ამ გვირაბის შუა-გული, რომელიც დაახლოვებით 840 საჟენის სიმაღლეზე იქნება შავი ზღვის ზედა-პირიდან.

მთა, რომლის ქვეშაც გაყვანილია დიდი გვირაბი, მაინცა და მაინც მაღალი არ არის. მაისის დამლევს მთა თავისუფალია თურმე თოვლისაგანაო, მითხრეს. გზა-ტკეცილი კი მიხვევ-მოხვევით ზედ ამ მთაზედ გადადის. ეს მთა უღელ-ტეხილივით შუაში ძევს ორ დიდ მწვერვალ შუა, ჩრდილოეთით არის მწვერვალი მულტენეჟი და სამხრეთით კაპანაკი. მათ შორის ოც ვერსამდე იქნება. კაპანაკი საკმაოდ მაღალი მთაა. იმის მწვერვალზე თოვლი ზაფხულშიაც არა დნება.

ჩავიარეთ დიდი გვირაბი და ჩვენ თვალ-წინ გაიშალა ფართო ზეგანი, რომლის აღმოსავლეთითაც კაპანაკია ამართული, ჩრდილოეთით ტიშტაპის მთის გაგრძელება, სამხრეთით და დასავლეთით—უთვალავი პატარ-პატარა უთავ-ბოლოდ მიყრილ-მოყრილი სერ-გორაკები. ზეგანი საკმაოდ სწორია. რასაც თვალი უწვდება, ხე-ტყის ჭაჭანება არ არის. თუმცა ყველგან საშინელი ერთ-ფეროვნებაა, მაგრამ ამ ერთ-ფეროვნებასაც თავისი მიმზიდველობა აქვს და სიამოვნებით შეჰყურებ ამ ფართოთ გაშლილ არე-მარეს. ზეგანზე ბევრი დიდი სოფელია გაფანტული. თუ გინდ თითზე ჩამოსთვალო ყველას, ისე ნათლად სჩანან აქედან. ზეგანის შუა-გულში კი ქალაქი გუმბრი (ალექსანდროპოლი) გაჭიმულა, რომელიც დიდი გვირაბიდანვე კარგადა სჩანს. დიდი გვირაბიდან გუმბრამდე ერთი სადგურია, ჯაჯური, რომელიც გვირაბის მახლობლადაა, და მეორე პატარა სადგური ორთაკილისა. ამ პატარა სადგურიდან გუმბრამდე სულ 9 ვერსია. გვირაბის შემდეგ გზა დაღმართია. ჩვენმა მატარებელმაც იდროვა. სანაინიდან აღმართ-აღმართ იკვნესა, ახლა კი სამაგიეროდ ცქვიტად გაქანდა და „თა-თა-თა, ა-თა-თა-თა"-ს ძახილით გუმბრისკენ გაგვაქანა.

უიარაღო.

ჯარის რეორგანიზაციის, სულთანმა შემდეგი პირები დანიშნა: საბჭოს თავმჯდომარედ — სამხედრო მინისტრი, თავმჯდომარის ამხანაგად — გერმანელი გენერალი ფონდერჰოლცი, წევრებად: გენერალისიმუსი მახმუდ-შევკეთ-ფაშა, ინსპექტორი არტილერიისა რიზა-ფაშა (ქართველი) და სხვა გამოჩენილი გენერლები.

აჯანყება იემენში.

ამბობენ, იემენში (არაბეთში) ახალ აჯანყებას ამზადებენო. უკმაყოფილება მეთაურებად ჰყავთ უმაღლესი სამღვდელონია, რომლებიც სრულს ავტონომიას თხოულობენ არაბეთისთვის.

ჯარის გაგზავნა ალბანიაში.

23 მაისს საღამოთი სტამბოლიდან გაგზავნეს ზღვით სალონიკსა და მონასტერში 2,000 არტილერისტი ზარბაზნებით. ამავე დროს მონასტირში რკინის გზით საგანგებო მატარებლით გაგზავნეს 2 ბატალიონი ქვეითა ჯარი. ეს ჯარი მოეხმარება იმ რაზმებს, რომლებიც ალბანიაში მოქმედებენ. მთავრობამ გადასწყვიტა უთუოდ დაიმორჩილოს ალბანელი რეაქციონერები, რომლებიც ამასთანავე არც გადასახადებს იხდიან.

წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლა

(დასასრული *)

მეორე „საანბანო ჭეშმარიტება“ ბ-ნ მაზრელისა წყლის საჭიროებას შეეხება. იგი სწერს:

„სამეურნეო სკოლას წყალი მოუშრეტელი უნდა ჰქონდეს და იქიდან, საიდანაც ვიდრე ცა და დედა მიწა არსებობს (?) დაუშრეტელი იქნება. ასეთია მდინარე არაგვი, საიდანაც სკოლას საძირკვლის ჩაყრისათანავე უნდა გაეყვანა წყალი ფერმის თავში და აქედან დიდი აუზების საშვალებით ყოველთვის მორწყოდა მთელი სკოლის ნაამაგდარი“.

ბ-ნმა ილია წინამძღვრიშვილმა საგულისხმიერო ანდაზით დაიწყო თავისი პასუხი გაზ. „დროება“-ში: „ვისაც სახლი არ აუშენებია, დედა-ბოძი მიწიდან ამოსული ჰგონიაო“. როცა მაზრელის „დარიგებებს“ ვკითხულობ, სწორედ ეს „უსახლო კაცი“ მაგონდება. შეიძლება ეს გარემოება სკოლის დანაშაულად ჩაითვალოს? ნუ თუ ჰგონია, სკოლის დამაარსებელმა არ იცოდა წყლის მნიშვნელობა მეურნეობაში? ნუ თუ მართლა ჰგონია, რომ არაგვიდან, წყალი ამ უცოდინარობისა გამო არ აუყვანიათ სკოლაში? შეიძლება ბ-ნი მაზრელი ფიქრობდეს, რომ მან ამერიკა აღმოაჩინა, მაგრამ დავარწმუნებთ რომ ღრმად შემცდარია და ცოტა მეტი ნაცნობობა რომ ჰქონოდა სკოლასთან არ შევიდოდა ასეთ შეცდომაში.

მოვახსენებთ ბ-ნ მაზრელს, რომ წყალსა და საზოგადოდ ყოველგვარ სითხეს ერთი ახირებული ზნე სჭირს, სახელდობრ: არ ეხერხება აღმა მიმდინარეობა. ამ მოსაზრებით არაგვიდან ფერმამდე წყლის არხებით აყვანა არავის მოუვა თავში. ამგვარად წყლის ასაყვანად საჭიროა ძალიან ძვირად ღირებულ ცალკე მანქანის დადგმა და არაგვიდან სკოლამდე (ექვსი ვერსის მანძილზე) თუჯის მილების ჩაწყობა, რასაც ერთდროულად არც ასიათასი მანათი ეყოფა. ტფილისის საბადოსნო სკოლას, რომელსაც მტკვრიდან ამოჰყავს წყალი რაღაც ორასიოდ საჟენის მანძილზე, დღეში თითო თუმანი ეხარჯება ამ საქმისთვის. ამ ანგარიშის მიხედვით იმდენივე წყლის აყვანა წინამძღვარიანთ—კარის სკოლას სამჯერ მეტი მაინც დაუჯდებოდა, რაცა დღიურად 30 მან. ხარჯს შეადგენს. მაგრამ უნდა ვიქონიოთ სახეში ისიც, რომ წინამძღვარიანთ-კარის სკოლის ფერმას გაცილებით მეტი წყალი სჭირია, ვიდრე საბადოსნო სკოლას, რაცა რასაკვირველია, ნავარაუდევ ხარჯს გააორკეცებდა.

ბ-ნმა მაზრელმა გულახდილად აღიარა, ხომ სკოლისა ბევრი არაფერი იცის, თორემ იმავ 1901 წლის გამოცემულ ანგარიშებში მე-23 გვერდზე წააკითხავდა, რომ სკოლას წყლის გამოყვანაზე 2000 მანეთი დაუხარჯავს.

მაგრამ თუ ბ-ნ მაზრელს კითხვა არ ეხერხება, ან ეზარება, რა უჭირდა აუყოლოდა სათავემდე ამ „მოწანწკარე წყაროს“, რომელიც სკოლას ჩამოუდის, და ენახა, რა უზარმაზარი შრომაა დახარჯული სკოლისათვის წყლის მოსაშოვებლად. ან ეკითხა ვისმესთვის, თუ რა დაუჯდა სკოლას იმ უთვალავ ორმოების ამოთხრა, რომლის საშუალებითაც სოფელ ზაქაროდან წყლის გამოყვანა იყო განზრახული. თქვენს უმორჩილესს მონას არა ერთი და ორი დღე გაუტარებია ამ არხებზე მუშაობაში და მით უფრო ნათლად მეხატება ბ-ნ მაზრელის შენიშვნათა უსამართლობა.

მთელს უსაფუძვლო გოდებას თავისას ბ-ნი მაზრელი წყლის უქონლობაზე ამყარებს და ამიტომაც ეგრე დაჟინებით იშვერს ხელს არაგვისაკენ. ჩვენც, რასაკვირველია, სავსებით ვეთანხმებით მას წყლის საჭიროებაში, რომ საკმაო სარწყავი არხი ძირიანად შესცვლიდა და გაამშვენიერებდა სკოლის ბაღს, მაგრამ არა ვართ თანახმა წყლის ნაკლებობაში რამე შეცდომა ან ბედოვლათობა დავინახოთ. ჩვენის აზრით უწყლობა პირდაპირი შედეგია უსახსრობისა, ბ-ნი მაზრელი კი ამბობს: 25 წლის განმავლობაში სკოლა არც ისე ხელ მოკლე იყოო“.

„25 წლის დამლევს ხედავთ ხეებს ყურებ ჩამოყრილს, გამხმარს, ახალმენს (ალბათ ხანერგებს) უდროოდ ამომხმარს. რასაც ეხეირნია, ისაც ხოჭოებითა და ლოკოკინებით არის სავსე.

ჩემის აზრით ბ-ნი მაზრელი გზაში იბნევა. მას დიდი სურვილი აქვს საყვედურისა, მაგრამ არ იცის, ვის უსაყვედუროს. რასაკვირველია, მისი აწყრობა ერთობ-და-ერთობ გაზვიადებულია, მაგრამ როცა ხეებს ლოკოკინებითა და ხოჭოებით ჰხედავდა შეფენილს, ვერა ჰკითხა ამ გარემოების მიზეზი იმას, ვისი საქმეც ლოკოკინების ხიდან ჩამობრძანებაა? რა შუაშია აქ სკოლის 25 წლის მოღვაწეობა! ერთ გამოცდილს თუ გამოუცდელ ხელს შეუძლიან მთელი ოცი წლის ნამუშავარი ასე თუ ისე შესცვალოს და ვისაც წინამძღვარიანთ კარის სკოლა ამ ხუთი-ექვსი წლის წინეთ უნახავს, არავინ არ დაეთანხმება ბ-ნს მაზრელის მსჯავრს.

„სკებიც აქვს სკოლას დადანის სისტემისა, მაგრამ ეს სკები ზოგი ყირამალა სდგას, ზოგიც გადაქცეული, ზოგი წაზნექილია და მიგნიდან რაღაც პწუილი არ ისმის ხოლმე“. არ იფიქროთ აქ ფუტკარი არა გვარობდეს. ამას მოწმობს მღვდლის საფუტკრე, **რომელსაც ამ სკოლაში შეუსწავლია მეფუტკრეობა** და ისე სამაგალითოდ უჭირავს საქმე, რომ მცოდნენი დასათვალიერებლად სკოლის მაგივრად მღვდელთან მიდიან.

ერთი წუთით დავანებოთ თავი იმას, თუ როგორია მართლა სკოლის საფუტკრე და გავიხსენოთ მიზანი სკოლისა ამ მხრივ. ავტორის სიტყვით აღნიშნულ მღვდელს მეფუტკრეობა აქ სკოლაში შეუსწავლია და შემდეგ თავისს სახლში **სამაგალითო** საფუტკრე მოუწყვია. მარტო ეს ერთი მაგალითიც ხომ სკოლის სასარგებლოდ ლაპარაკობს. სკოლის დანიშნულებაც ხომ ის არის, რომ დამოუკიდებელი მეურნეები გაამრავლოს. ახლა ვკითხოთ, ვინ განაგებს სკოლის საფუტკრეს. რამდენადაც ჩვენ ვიცით, სკოლის საფუტკრესაც იგივე მოძღვარი ხელმძღვანელობს და განაგებს, რომელსაც შინ სამაგალითო საფუტკრე აქვს მოწყობილი. და ნუ თუ ერთსა და იმავე ადამიანს შეუძლიან ერთ ადგილას, (სკოლაში) თავდაყირა დასდვას სკა, ხოლო მეორე ადგილას (შინ) სამაგალითო სისწორით? და თუ მართლა ერთი და იგივე ხელი საკუთარს არჩევს საზოგადოსაგან, სკოლას შეუძლიან სთქვას, რომ „კარგი მესაკუთრე“ მაინც შეუქმნია. საზოგადოდ ამ ბრალდებაზე ყოვლის უწინარეს თვით მოძღვარს უნდა ეგო პასუხი.

პატივცემულმა „დროების“ რედაქციამ ჩემს პირველ წერილს გრძელი შენიშვნა წაუმძღვარა, სადაც განმარტავს ბ-ნ ტ—ს წერილის აზრს და ამბობს: აღნიშნულ წერილებში წინამძღვარიანთ კარის სკოლა სრულაც არ არის დასახული ჭვარცის და უმნიშვნელო რამედაო. სიამოვნებით დავეთანხმებოდი რედაქციის ამ განმარტებას. რომ ბ-ნი ტ—ხა და ლ. მაზრელის წერილები წინ არ გვეწყოს. ამ წერილებში კი მხოლოდ და მხოლოდ ისეთი აზრია გატარებული, რომლის მიხედვითაც სკოლას ყოვლად უსარგებლოდ და უმნიშვნელოდ უარსებნია 25 წლის განმავლობაში. თუ არ ეს მოსაზრება ავტორებისა, თუ არ მათი ასეთი მსჯავრი, ჩვენ ხმასაც არ ამოვიღებდით. კერძოდ ბ-ნი წინამძღვრიშვილის შესახებაც ვერ იტყვიან სამართლიანობას და ზოგიერთი მათი შენიშვნა საქმეში ჩახედულ მკითხველზე მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს. აი თუნდ მოუსმინოთ ბ-ნ მაზრელს, — როცა ის სკოლის ფერმაზე გაბრაზებული ილიას კერძო მამულს ეხება:

„ბ-ნ ილია წინამძღვრიშვილს სკოლის გვერდზედაც აქვს მამული, რომელიც **რაღაც მოსაზრებით** ჯერ სკოლისთვის არ გადაუცია.“

ჩვენის აზრით ამ სიტყვებში აშკარა უმადურობა გამოსჭვივის ილია წინამძღვრიშვილის მიმართ და გვიკვირს, რედაქციამ რატომ მას არ მიაქცია ყურადღება. ნუ თუ ეთქმის რამე ბ-ნ მაზრელს იმ კაცზე, რომელმაც მთელი თავისი კეთილდღეობა სკოლას შეალია და ანაცვალა? ნუ თუ ბ-ნთ ტ—სა და მაზრელს აქვთ უფლება ილია წინამძღვრიშვილს ქველ-მოქმედება ასწავლონ? სწორედ ამაზე ითქმის: სასაცილოა, საწუხარო რომ არ იყოსო.

თუნდ აიღეთ ასეთი, ერთის შეხედვით უმნიშვნელო, მაგრამ ამასთანავე დაუმსახურებელი ირონია: ბ-ნი მაზრელი მოგვითხრობს სკოლისათვის ეტლის საჭიროებას და ამბობს:

„თვით ბ-ნი წინამძღვრიშვილი ზაფხულობით **კაი ამინდში** ეტლით ამოდის და იმავ დღეს ბრუნდება ტფილისშიო.“*)

თქვენი უმორჩილესი მოსამსახურე ხუთი წელიწადი სწავლობდა წინამძღვარიანთ-კარის სკოლაში და ამ ხნის განმავლობაში იშვიათად ახსოვს მას კვირა დღე რომ ილია სკოლაში არ მოსულიყოს და ნუ თუ კვირა-შაბათს მუდამ კაი ამინდი და საამო სამგზავრო იქნებოდა. პირიქით ამ მგზავრობაში მას ბევრა მეტად ბევრი, გასაჭირი და საფრთხე უნახავს, რომელთა შესახებაც, რასაკვირველია, აქ მეტად მიგვაჩნია ლაპარაკი.

ამგვარად, ჩვენ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ბ ნ ტ-სა და ლ. მაზრელის კორესპოდენციებში წინამძღვარიანთ-კარის სკოლის მოღვაწეობა არა თუ არ არის ჯეროვნად დაფასებული, დაფასების ღირსადაც კი არ არის მიჩნეული. ამიტომაც არ შეიძლება ამ უსამართლო მსჯავრმა სამართლიანი გულის წყრომა არ გამოიწვიოს იმათში, ვისაც სკოლასთან რამე კავშირი აქვს, ვისაც მისი კეთილ დღეობა გულით ენატრება და ვისაც ორიოდ ანბანი, გინდ უმნიშვნელო ნაწილი თავის ცოდნისა, აქ შეუძენია. დარწმუნებული ვარ ამ მხრივ ჩემი წერილი არა ერთისა და ორის აზრს გამოხატავს.

მიუხედავად ყოვლივე ამისა, ჩვენ ერთხელ კიდევ აღვნიშნავთ, რომ ჩვენის აზრითაც წინამძღვარიანთ-კარის სკოლას მრავალი ნაკლი ახლავს, უნაკლულო ღმერთსაც არაფერი შეუქმნიან, არა თუ ერთმა ადამიანმა შექმნას. მაგრამ უსამართლობად მიგვაჩნია სკოლის 25 წლის მოღვაწეობა ყოვლისავე მნიშვნელობას მოკლებულად ჩაითვალოს. ყველა ის „სურვილები“, რომელზედაც ბ-ნი მაზრელი ლაპარაკობს, სკოლის სურვილებსაც შეადგენს, მაგრამ მისი დაუკმაყოფილებლობა სკოლის დანაშაული არ არის, არა გვგონია სიღარიბე ვისმე დანაშაულად ჩაეთვალოს, თუ რასაკვირველია ის უაზრო ხარჯებითა და ბედოვლათობით არ არის გამოწვეული. წინამძღვარიანთ სკოლაზე ამისი თქმა არ შეიძლება და ამიტომ სამგზავრო ეტლების, არაგვზე ხიდისა და არაგვიდან წყლის აყვანის უქონლობა მას დანაშაულად არ ჩაეთვლება. ყველა ეს სიღარიბის, უსახსრობის ნაყოფია და თუ ბ-ნ ავტორებს სკოლისათვის სახსარის გამონახვა, საშუალების აღმოჩენა ჰქონდათ სახეში, როგორც ამას „დროების“ რედაქცია განმარტავს, მაშინ ჯერ სკოლის ღვაწლი უნდა აღენუსხათ საზოგადოებისთვის და შემდეგ შემწეობა ეთხოვათ. იმათკი სულ სხვა გზა აირჩიეს: სკოლის 25 წლის მოღვაწეობა არარაობათ მონათლეს და შემდეგ საზოგადოებას დახმარება მოსთხოვეს. ვინ იქნება, რომ უსარგებლო დაწესებულებას დახმარება აღმოუჩინოს, და თუ მართლა თქვენი წერილები ამ მიზნისაკენ იყო მიმართული, დამერწმუნეთ, ვერაფერი სამსახური გაუწიეთ სკოლას. ვნახოთ რა ნაყოფი მოჰყვება მას.

ნ. კალანდაძე.

---

*) იხ. „დროება“, N 115

*) ეს ადგილი ლ. მაზრელის წერილში სრულებითაც იმ აზრით არ არის ნათქვამი, რა მნიშვნელობასაც ბ-ნი კალანდაძე აძლევს. მაზრელი ეტლზედ ლაპარაკობს და ამბობს, შეიძლება ისე მოეწყოს საქმე, რომ მიმოსვლა გაადვილდესო. «რომ კაცმა სთქვას, განაგრძობს მაზრელი, სკოლა არც ისე შორს არის ქალაქზე. რომ იყოს სახსარი და საშუალება, დილით წამოსული კაცი, საღამოს ისევ შინ დაბრუნდება. თვით ბ-ნი წინამძღვრიშვილი ზაფხულობით კაი ამინდში ეტლით ამოდის და ბრუნდება ხოლმე ქალაქში ერთ დღეს». რედ.

უცხოეთი

ჩინეთის სამხედრო მზადება.

ბლაგოვეშჩენსკიდან ატყობინებენ რუსულ გაზეთებს: მდინარე ამურს გაღმა ჩინელები აგებენ სიმაგრეებს. რუსებს ახლო არ აკარებენ ამ სიმაგრეებს.

მდინარე ამური ჰყოფს რუსეთის და ჩინეთის სამფლობელოებს: ამურის მარცხენა ნაპირი რუსეთს ეკუთვნის, მარჯვენა ჩინეთს.

აქამდე ჩინეთს იარაღი თავის ჯარისთვის სულ უცხოეთიდან შემოჰქონდა. ეხლა ჩინეთის მთავრობა ცდილობს, თავისი საკუთარი არსენალები გააფართოვოს და ამნაირად განთავისუფლდეს უცხოელთა დამოკიდებულებისგან, რომელიც მეტად საზარალოა ეკონომიურად. მთავრობამ პროექტი შეადგინა, არსენალები შანჰაისა და ხუპეში იმდენად გაფართოვდეს, რომ შეეძლოთ ჩინეთის ჯარის მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილება, ამ პროექტის განსახორციელებლად საჭიროა 10 მილიონი ტაელი.

რუსეთი

სამართალში მიცემა. რუსეთის გაზეთების სიტყვით კვანტუნის (მანჯურიაში) საქველმოქმედო საზოგადოებას გადაუწყვეტია სამართალში მისცეს სტესელის ცოლი. საზოგადოება ქ-ნ სტესელს უჩივის, საზოგადოების 15,000 მანეთი მიითვისაო.

გერცენშტეინის მოკვლის საქმე. „რეჩ“-ში ვკითხულობთ: „ნაფიც ვექილ ვებერთან (ვებერი გერცენშტეინის ქვრივის ინტერესებს იცავდა ფინლიანდიის სასამართლოში) მისულა პეტერბურგის უნივერსიტეტის ერთი სტუდენტი და განუცხადებია, მე „რუსკ. ზნამ.“ რედაქციაში დიდი ხანი ვმსახურებდი, ვიცი ვინც მოჰკლა გერცენშტეინი და საიდუმლო საბუთებიც მაქვს იმის დასამტკიცებლად, რომ გერცენშტეინის მოკვლაში დუბროვინიც ურევიაო. ვებერს ეს სტუდენტი ბრალმდებელთან გაუგზავნია.

თავდასხმა პრუსაკოვზე. როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება ფინლიანდიის სასამართლოში „რუსკ. ზნამ.“ ყოფილმა მდივანმა განაცხადა, რომ გერცენშტეინი დუბროვინმა მოაკვლევინაო. „კასპ“ პეტერბურგიდან ატყობინებენ: „გუშინ, 26 მაისს, ხუთი შეიარაღებული კაცი თავს დაესხა პრუსაკოვს. პრუსაკოვი გადარჩა“.

სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები. „კიევსკაია მისლის“ სიტყვით, 4 ივნისს, ლონდონში მიდიან სახელმწიფო სათათბიროს ზოგიერთი დეპუტატი. ლონდონში წავლენ სათათბიროს თავმჯდომარე ხომიაკოვი და კადეტების, ოქტომბრისტების, პოლონელების და პროგრესისტების წარმომადგენლები. დეპუტატებს აზრად აქვთ გაეცნონ ინგლისის პარლამენტის დეპუტატებს და ამით რუსეთის და ინგლისის საზოგადოებანი ერთმანეთს დაუახლოვონ.

სიკვდილით დასჯა. სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: პეტერბურგში 1, მოსკოვში 2, უფაში 3, ხარკოვში 2, იურიევში 1, ოდესაში 1, კამენეც-პოდოლსკში 1, ორიოლში 2 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: პეტერბურგში 1, იურიევში 1, კიევში 2, რიგაში 1, მოგილევში 2, უფაში 5, ხარკოვში.

პეტერბურგის უნივერსიტეტში. „კიევსკ. მისლის“ სიტყვით, პეტერბურგის უნივერსიტეტის საისტორიო-საფილოლოგო ფაკულტეტს დაუდგენია, იშუამდგომლოს, რომ სასულიერო სემინარიებში 4 კლასს გათავებულებს უფლება ჰქონდეთ ამ ფაკულტეტზე გამოუცდელად შევიდნენ.

ვარშავის რევიზია. დიდი ხანია ლაპარაკობენ, რომ ვარშავას რევიზიას გაუკეთებენო. „ბირჟ. ვედ.“ სიტყვით, ვარშავის სენატორად დაინიშნება სენატორი ობოლენსკი, წინედ სენატორ ვოგაკს ასახელებდნენ.

ფინლიანდიის სეიმის თავმჯდომარე. „ბირჟ. ვედ.“ კორესპონდენტისთვის ფინლიანდიის სეიმის თავმჯდომარეს სვინხუფუდს განუცხადებია: ჩვენ განზრახული გვქონდა ხელმწიფესთვის პეტიცია მიგვერთმია, მაგრამ ეხლა გადავწყვიტეთ ადრესი გაუგზავნოთ. სეიმის მუშაობის გაგრძელება ჩვენზე არ არის დამოკიდებული, გვიბრძანებენ დავიშლებით, ხელმწიფეს ნებას ვასრულებთ. ჩვენ მიჩვეულნი ვართ ამასო

„რუსკოე ზნამია“. „რუსკ. ზნამია“ (დუბროვინის გაზეთია) სწერს, რომ ოქტომბრისტებმა იმიტომ დაუჭირეს მხარი „სტაროობრიადცების“ სარწმუნოების თავისუფლების შესახებ კანონპროექტს... რომ „სტაროობრიადცებმა“ მათ ერთი მილიონი მანეთი მისცესო!

ყაზანის უნივერსიტეტში. ამ რამდენიმე დღის წინად ყაზანის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ უნივერსიტეტის რექტორად აირჩია პროფეს. ზაგოსკინი. „რეჩის“ სიტყვით, საერო განათლების მინისტრს არ დაუმტკიცებია პროფ. ზაგოსკინი.

ხელმწიფეების შეხვედრა. ოთხ ივნის ბალტიის ზღვაში ერთმანეთს ინახულებენ ხელმწიფე-იმპერატორი და გერმანიის ხელმწიფე ვილჰელმი, ხელმწიფე-იმპერატორს თან ახლდებიან პრემიერ-მინისტრი სტოლიპინი და გარეშე საქმეთა მინისტრი იზვოლსკი.

სიონისტების კონგრესი. „გედ აზმანის“ სიტყვით, სიონისტების მე-9 კონგრესი მოხდება ჰამბურგში, ამა წლის 12 დეკემბერს.

ექიმი ი. ს. ხუნდაძე ქუთაისში იღებს შინაგან, სამარდე და ქალთა [illegible] ავადმყოფებს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს. საღამოთი [illegible] ლევანიძის ქუჩა, N 29 [illegible]
(წ.—6.—63)

პირველი კერძო სამკურნალო
დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირებს გარდა
დილით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

უ. მ. ჩიქოვანი: 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ა. ი. კარაპეტიანცი: 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

ა. მ. ტურბოვიჩი: 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

საღამოთი:

ი. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. დ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ.—1—95)

კონკურენციის გარეშე

ა. რ. ზემმელისა და ამხ.-ს ხელოვნურ (მინერალურ და ხილის). **წყლების ქარხანა,** რომელიც რიყის ქუჩაზეა, N 28, ამით აცხადებს, რომ დღეიდან ხილის, სელტერის და სოდის წყლები გაიყიდება ბ-ნთ მომხმარებლებზე ამ ფასად;

ხილის წყლები:	
1 ბოთლი	8 კაპ.
1/2 ბოთლი	4 კაპ.
შუშა	3 კაპ.

სელტ. და სოდის წყლები:	
1/2 ბოთლი	4 კაპ.
სიფონი ორმ.	7 კაპ.
1/2 სიფონი	4 კაპ.
შუშა	2 კაპ.

ქარხანა წინადადებას აძლევს ბ-ნთ მომხმარებელთ წყლის ყიდვის დროს ფირმის დამტარებელთაგან, ზემოდ აღნიშნული ფასები მისცენ. ამას გარდა, წინადადებას აძლევს მსურველთ ამავე ფასებით პირობით შეეკრან ფირმას 5 წლამდე.
(1—1001—1)

სურამში

იუნკრის შკოლის საზაფხულო ლაგერის პირდაპირ ისყიდება საუკეთესო საააგარაკო ადგილები. დატოვებულია სასეირნოთ მშვენიერი **ფიჭვის და მუხის პარკი.** ჰავა და ბუნება საუკეთესო. ფასები ხელმისაწვდომი: **ორი აბაზიდგან ოთხკუთხი საჟენი.** შეიძლება ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდა.

ადრესი: სურამში, როსტომ დ. ჩიკვაიძეს. (10—271—7)

გამოვიდა და იყიდება **წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში** ახალი წიგნი:

საქართველოს სიძველენი
ტომი მეორე
პალეოგრაფიულის ალბომით
საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემული, ექვ. თაყაიშვილის რედაქტორობით.
ფასი 3 მან. 50 კაპ.

ეს წიგნი **უფასოდ დაეთმობა** საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების იმ ნამდვილ წევრებს, რომელთაც შემოუტანიათ 1908 წლის საწევრო გადასახადი (3 მან.). ასეთს წევრებს, ტფილისში მცხოვრებთ შეუძლიანთ მიიღონ წიგნი წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ხოლო ქალაქს გარეთ მცხოვრებთ წიგნი ფოსტით გაეგზავნება. (10—7)

Высшая награда
швейныя машины „Кайзеръ“
Вязальныя машины

ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის
მაღაზია ქ. ქუთაისში.

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ“-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბ-ს გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

ადრესი: А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—6—39)

სტამბა „[illegible]“, დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აბლაძე.